ISSN 1987-5355
9 771987 535007
#38
2011
March, April, May

# STYLE

ARCHITECTURE INTERIOR DESIGN




# სტილი

არქიტექტურა ინტერიერი დიზაინი


VIMAR
energia positiva
ახალი ნათება
Only One Touch
ახალი თაობის ჩამრთველები ახალი ნათებისაგან
www.newlight.ge



შ.პ.ს. ინსტა
insta
ელექტრო, ტელეკომუნიკაცია,
ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები,
პროექტირება, მონტაჟი
ოფისი: თბილისი, ზაქარიაძის ქ. №8.
ტელ.: 20 20 20/21, ფაქსი: 20 20 22.
e-mail: sales@insta.ge
მაღაზია: თბილისი,
ვაჟა-ფშაველას №64
ტელ.: 20 20 23, 39 90 98
e-mail: shop@insta.ge
www.insta.ge
სარეკლამო გვერდი

## რედაქციისგან!

2011 წლის დასაწყისში გვეძლევა შესაძლებლობა თვალი გადავავლოთ ჩვენს მოღვაწეობას, შევაჯეროთ და შევაფასოდ იგი, დავსახოთ ახალი. ჟურნალის დაარსებიდან თერთმეტი წლის მანძილზე გამოცემული „სტილის“ ნომრებში, ქრონოლოგიურად, შეძლებისამებრ მაქიმალურად წარმოვაჩენთ სიახლეებს მშენებლობის, არქიტექტურის და ხელოვნების სფეროებში, შედეგად მრავალი ახალი შემოქმედებითი სახე, საინტერესო ნამუშევარი თუ პროექტი გამოვლინდა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო კონკურსების - „არქიტექტურული პრემია“ ჩატარებამ. პროექტს ხუთი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. იგი წარმატებული აღმოჩნდა. ინტერესი კონკურსის მიმართ ყოველწლიურად იზრდება. ამას მოწმობს მასში მონაწილე ქართველი და უცხოელი არქიტექტორების მიერ წარმოჩენილი რეალიზებული ობიექტების, საინტერესო პროექტების მრავალფეროვნება. 2009 წელს „არქიტექტორთა კლუბის“ ეგიდით გამოიცა წიგნი „საქართველოს არქიტექტურა და თანამედროვე ქართველი არქიტექტორები“. მისი აქტუალურობიდან გამომდინარე უკვე მზადდება წიგნის II ნაწილი.

დიდი მადლობა ჩვენთან თანამშრომელ ყველა არქიტექტორს და კომპანიას. სწორედ მათი ძალისხმევით ჩნდება საინტერესო სამომავლო პერსპექტივები ჩვენს ერთობლივ საქმიანობაში.

2011 წლიდან „არქიტექტორთა კლუბი“ და თბილისის არქიტექტურის სამსახური იწყებს თანამშრომლობას, მშენებლობის და არქიტექტურის სფეროში მიმდინარე პროცესების საზოგადოებისათვის უკეთ გასაცნობად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ფონზე, ვაცნობიერებთ რა, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში არქიტექტურული განათლებისა და არქიტექტურული მოღვაწეობის მნიშვნელობას, ჩვენს უპირველეს მოვალეობად მივიჩნევთ საქართველოში არქიტექტურული დარგის განვითარების ხელშეწყობას,კერძოდ:

- არქიტექტურისა და მშენებლობის სფეროში არსებული სიახლეების წარმოჩენა;
- არქიტექტორების სტიმულირებას, მათი ნამუშევრების პოპულარიზაცია;
- საზოგადოებაში მშენებლობისა და არქიტექტურის რეიტინგის ამაღლება.

*ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსი*
***არისი ბოჭოიძე***
*არქიტექტორთა კლუბის დირექტორი*
***ნინო ლაღიძე***

## EDITORIAL

Year 2011 gives us a fresh opportunity to take a look at our past activities, evaluate their results and set new goals.

During 12 years, which passed since the day of its founding, STYLE Magazine chronologically covered construction, architecture and art news, introduced new faces and publicized interesting artistic works and initiatives. This process was largely facilitated by international competition Architectural Award – the project, which we launched four years ago. This competition, which enjoyed success and attracted considerable number of participants, soon acquired international status and currently features a highly diverse range of interesting projects, created by Georgian and foreign authors. In 2009 Architectural Club issued publication “Georgian Architecture and Contemporary Georgian Architects”, the importance of which made us start to work on the second part of the book.

We would like to thank all the professionals maintaining cooperation with us, because it is due to their efforts that our joint activity is enriched with new prospects and outlooks.

Starting with 2011, Architectural Club and Tbilisi Architecture Service have started cooperation, aiming at promotion of new developments and processes occurring in the spheres of architecture and construction.

Considering all of the above and acknowledging the importance of architectural education and practice for the future of our country we believe it is our primary goal to contribute to development of architecture in Georgia;

namely:

- In order to jointly provide efficient coverage of architectural news
- Create incentives to architects, promote their activities;
- Raise the public profile of architecture and construction.

*Head of Tbilisi Architecture Service*
***Arisi Bochoidze***
*Director of Architectural Club*
***Nino Laghidze***

**გამომცემელი** - კომპანია **არქიტექტორთა კლუბი** და დიმიტრი მოსულიშვილი
**რედაქტორი** - ნინო ლაღიძე
**ინფორმაცია** - ნინო ლაღიძე, გია გიორგაძე, თენგიზ მახარაშვილი, თენგიზ სეფიაშვილი
**თარგმანი** - ნატა კურტანიძე
**კომპიუტერული დიზაინი** - თამაზ ჩხაიძე
**დიზაინი** - გია ნოზაძე
**რეკლამა** - შ.პ.ს. სტილი, დირექტორი ელა ჯავახიშვილი

**PUBLISHER -** Company **ARCHITECTURAL CLUB** & Dimitri Mosulishvili
**EDITOR -** Nino Laghidze
**INFORMATION -** Nino Laghidze, Gia Giorgadze, Tengiz Makharashvili, Tengiz Sepiashvili
**TRANSLATION -** Nata Kurtanidze
**COMPUTER GRAPHIC -** Tamaz Chkhaidze
**DESIGN** - Gia Nozadze
**ADVERTISEMENT -** STYLE Ltd. Director Ela Javakhishvili

კომპანია კომპანია არქიტექტორთა კლუბი". კომპანია"სტილი",
0160 თბილისი, შარტავას ქ.#35/37
ტელ/ფაქსი: 37-52-97. მობ: 893 42-74-73; 877 44-86-00

35/37 Shartava Str., 0160 Tbilisi, Georgia.
Tel/fax: (+995 32) 37-52 97
Mob: (+995 93) 42-74-73; (+995 77) 44-86-00,
http://www.style-magazine.com.ge
E-mail: inbox@archistyle.ge

**სარეკლამო ტექსტის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს**

## არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ!

არქიტექტორთა კლუბი და ჟურნალი "სტილი" კვლავ აგრძელებს თქვენთან თანამშრომლობას.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენს მიერ რეალიზებული არქიტექტურულ-დიზაინერული პროექტები. მათ შორის საუკეთესოები განთავსებული იქნება ჟურნალი "სტილის" მომდევნო ნომრებში, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

რედაქცია იტოვებს უფლებას გაცნობოთ მასალის მომზადებისა და პუბლიკაციისათვის აუცილებელი პირობა - ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ობიექტი წარმოდგენილი იქნას მისი ამსახველი ფოტო-მასალის მაღალმხატვრული ხარისხით - ავტორმა უზრუნველყოს ობიექტის პროფესიული ფოტოგადაღება.

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62




www.whitelake.ge
e-mail: info@whitelake.ge


TEST #143


კაპაროლის დეკორატიული
პროდუქტი - დეკორატიული საღებავი
CAPAROL

www.style-magazine.com.ge




**მზადდება წიგნის მეორე ნაწილი:**
**«თანამედროვე ქართველი არქიტექტორები»**

გამოცემაში მონაწილეობის მსურველებს
დაგვიკავშირდით:

E-mail: nino@style-magazine.com.ge

„არქიტექტორთა კლუბის“ და ჟურნალი STYLE -ს ეგიდით გამოიცა წიგნი - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები". გამოცემა გაყიდვაშია თბილისის წიგნის მაღაზიებში.

წიგნის - "საქართველოს არქიტექტურა & თანამედროვე ქართველი არქიტექტორები" - გამოცემა, პროექტის პირველი ეტაპია.

დაწყებულია წიგნის II ნაწილზე მუშაობა. დაგეგმილი გვაქვს, იგი, კვლავ საინტერესოდ განვავრცოდ, მითუმეტეს, რომ ინტერესი პროფესიონალების მხრიდან მზარდია.

დაგვიკავშირდით მისამართზე:
პეკინის ქ. 33
ტელ./ფაქსი: +995 32 37 26 34.
მობ: +995 93 42 74 73
E-mail: nino@style-magazine.com.ge
www. style-magazine.com.ge

**“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” - Book**

**Project organizers: STYLE Magazine, Architects’ Club**

**“Georgian Architecture & Contemporary Georgian Architects” is only the beginning of our project. We started work on the second volume of the book, in which we hope to further explore the past and present of Georgian art, especially considering that the professionals already start to show increasing interest toward our activity.**

**please contact us at the following address:**
**33 Beijing Street, Tbilisi, Georgia;**
**Tel/fax: +99532-372624**
**Mobile: +99593-427473**
**E-mail: nino@style-magazine.com.ge**
**www.style-magazine.com.ge**

Tel./Fax. +995 32 372 634 Mob. +995 93 427 473




Create, Develop and Do !

ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, 0186 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 207 400, ფაქსი: +995 32 207 500
www.archtrade.ge info@archtrade.ge




არქიტექტორებისა და დიზაინერების საყურადღებოდ:
“არქიტექტურული პრემია 2011”-ის [illegible] დაიწყო ნამუშევრების მიღება

To the attention of architects and designers:
Submission of entries for Architectural Award 2011 has started

tel/fax: +995 32 37-52-97; mob.: +995 93 42-74-73; E-mail: rino@style-magazine.com.ge
www.stile-magazine.com.ge


www.antoniolupi.it
www.antoniolupi.it
www.jacuzzi.eu
www.sicis.com
HERBOVITAL2
THEFANTASTICWAYWELIVE
www.jacuzzi.eu
www.devon-devon.com
22 Metekhi str.
0103 Tbilisi Georgia
Tel.: +995 32 273300
Fax.: +995 32 747121
www.herbovital.eu
e-mail: info@herbovital2.com.ge
www.artexart.com
www.devon-devon.com
www.gessi.com
www.jacuzzi.eu
www.sicis.com


www.style-magazine.com.ge
STYLEmagazine
STYLE
STYLE
www.style-magazine.com.ge
893 427 473

ECODECOR

DESIGN CITY

Decor



















საქართველო, თბილისი 0179

ტელ.: +995 32 25 88 77
+995 32 25 88 79
მობ.: +995 90 90 55 40

www.designcity.ge
www.decorlines.ge
www.ecodecor.ge








# იტალიური მარმარილო შიდა განათებით

ეს არის ინოვაციური, სინათლის გამტარი იტალიური ბუნებრივი მარმარილო, შეკრული სისტემაში განათების პაკეტთან ერთად, რომელიც იძლევა საშუალებას თანაბრად გაანათოს მარმარილოს სტრუქტურა და ზედაპირი შიგნიდან, რაც ქმნის უნიკალურ ვიზუალურ ეფექტს.

ყველა სახის მარმარილო რომელსაც ჩვენ წარმოგიდგენთ აქვს სინათლის გამტარიანობის განსაკუთრებული თვისება, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვისიამოვნოთ სხვადასხვა ფერის კომბინაციებით.

JANVS ITALIA

Style - design
Tel: +995 57 722 744
+995 32 375 297
www.style-magazine.com.ge
E-mail: styledesignnew@gmail.com

# სარჩევი
# Content




ქალაქი
CITY

ლეღვთახევის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი
Legvtakhevi Reconstruction-Rehabilitation Project 16



ახალი გვირაბის მშენებლობა თბილისში
New Underground Passage to Be Built in Tbilisi 18



კალაუბანი
Kalaubani 20



სახლი
HOUSE

იუსტიციის სამინისტროს ახალი ადმინიტრაციული შენობა
Ministry of Justice of Georgia – New Headquarters 22



ვიზიტორთა ცენტრი
Visitor's Center 28



ახალი საოფისე შენობა ვახუშტის ხიდთან
New Officce construction near Vakhushti's bridge 30



ბათუმის „სანაპირო"
The coast of Batumi 32



ახალი სკოლა სიღნაღის რაიონ-ის სოფელ ჯუგაანში
New School in Jugaani Village, Signagi 36



სვანეთის აეროპორტი
Airport in Svaneti 40



სათაფლიის ნაკრძალი
Sataplia Reserve 42





# სარჩევი Content



თეთრი ტბა
White Lake 44


სკიტები
Sketes 48


საჩუქარი ბათუმის ახალ ბულვარს
Present for New Batumi Boulevard 50


უცხოური არქიტექტურა
FOREIGN ARCHITECTURE
ოსტატობაში პროფესიონალიზმის ხარისხი იგულისხმება
Professionalism implying the level of skill 52


"ტალღა" ვეილეში
THE WAVE IN VEJLE 56


სკანდინავიური გოლფ-კლუბი
SCANDINAVIAN GOLF CLUB 60


4 PLIUS Architects 64


ძმები მიშკინისების სახელობის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა ქალაქ უტენაში
Public Library of A.& M. Miskiniai in Utena town 68


აუმ არქიტექტსი
Aum Architects 72


ინტერიერი
INTERIOR
ექსპოზიცია VA BENE
Va Bene Exposition 76


ბალდუჩი
Balduci 78


აპრიორი
A Priori 82


ახალი საძმო
New Brotherhood 84


Beauty Centre Crystal 86


თავლა
Tavla 92


„დიდი" იდეა
Full Value 94


კომპანიათა ჯგუფი "აკორდი" - ხარისხის ახალი ნიშანი
Akkord Group of Companies – A New Quality Mark 98


ახალი ამბები
NEWS
შავი ზღვის სანაპირო და ურბანული დაგეგმარება
Black Sea Coastline and Urban Planning 102


უცხოელის თვალით დანახული საქართველოს არქიტექტურა
Georgian Architecture Seen by the Eyes of a Foreigner 106


ვორქშოპი იტალიაში
Workshop in Italy 112


ვერნისაჟი
VERNISAGE
გამოფენა უნივერსში
Exhibition in Gallery Universe 116


არაჩვეულებრივი გამოფენა
Unusual Exhibition 118






# სასტუმროს ავეჯი და აქსესუარები

GruppoDOIMO

SIRTEK

Style - design

Tel: +995 57 722 744

+995 32 375 297

E-mail: styledesignnew@gmail.com

www.style-magazine.com.ge

სარეკლამოგვერდი






## ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურმა გამოაცხადა კონკურსი

ქ. თბილისის საუკეთესო ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი - საერთო ფართით 100 კვ.მ-დან – 250 კვ.მ.-მდე ერთბინიან ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე.

კონკურსის მიზანია მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება,

სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, დედაქალაქის ერთიანი იერსახის ჩამოყალიბებას და მშენებლობის ნებართვის პროცედურის გამარტივებას.

კომისია 15-მდე გამარჯვებულს გამოავლენს, რომლებთანაც სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გააფორმებს ხელშეკრულებას გამარჯვებული პროექტების შესყიდვის თაობაზე. შესყიდვის ფასი შეადგენს 2500 ლარს თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს.

კონკურსში გამარჯვებულს გაუფორმდება არქიტექტურული პროექტის შესყიდვის ხელშეკრულება.

კონკურსის შედეგები შესაძლებელია იხილოთ სამსახურის ვებ. გვერდზე architect.tbilisi.gov.ge.

## თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოცხადდა კონკურსი "ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, გულიას მოედნის განვითარების ქალაქგეგმარებით კონცეფციაზე"

კონკურსის მიზანს წარმოადგენს ღია კონკურსის გზით კონცეფციის დონეზე საპროექტო ტერიტორიის სივრცით-მოცულობითი და სატრანსპორტო განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

კონკურსის ამოცანაა გამოავლინოს საპროექტო ტერიტორიის სივრცით-გეგმარებითი მოწყობის საუკეთესო კონცეფცია, რაც საფუძვლად დაედება შემდგომ ეტაპზე განაშენიანების რეგულირების გეგმის ან გეგმების დამუშავებას.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდ ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს, გარდა საკონკურსო კომისიის წევრებისა;

კონკურსის არეალია ქ. თბილისი, გულიას მოედნის მიმდებარე ტერიტორია.

სატრანსპორტო გადაწყვეტებისათვის საპროექტო არეალს განსაზღვრავს კონკურსის მონაწილე. რეკომენდირებულია არეალი მოიცავდეს: ბაგრატიონის, დოდაშვილის, გულიას მოედნებს და გორგასლის ქუჩის სანაპიროსთან განშტოებამდე ტერიტორიას.

საკონკურსო პროეტების მიღება დასრულდა.

კონკურსის შედეგები კონკურსის შედეგები შესაძლებელია იხილოთ სამსახურის ვებ. გვერდზე architect.tbilisi.gov.ge.



## ლეღვთახევის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი



თბილისის მერია “ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის” ფარგლებში ლანდშაფტური არქიტექტურითა და უნიკალური კლიმატური პირობებით გამორჩეული ადგილის – ლეღვთახევის რეაბილიტაციის პროგრამას იწყებს. პროექტის ფარგლებში აღნიშნული ტერიტორია გამწვანდება, მოეწყობა დასასვენებელი ადგილები, ტურისტული ბილიკები, ღია კაფე–ბარები და მდინარეზე აიგება მცირე ზომის ხიდები, რაც გააადვილებს ხევში არსებულ ჩანჩქერამდე მისვლას. ლეღვთახევზე გადმოკიდებულ სახლებში, მერიის პროგრამით სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რაც შესაძლებლობას ქმნის იქ საოჯახო სასტუმროები და რესტორნები მოეწყოს და ახალი სამუშაო ადილები შეიქმნას.

პროექტის დასრულების შემდეგ, ლეღვთახევი მრავალფუნქციური უბანი გახდება და თბილისელები და დედაქალაქის სტუმრები ქალაქის უძველეს უბანში, უნიკალურ ადგილას შეძლებენ თავისუფალი დროის სასიამოვნოდ გატარებას. თბილისის მერი გიგი უგულავა ლეღვთახევის განვითარების გეგმას ადგილზე გაეცნო.ძველი თბილისი, მისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი არქიტექტურულ-ურბანული და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის გარდა, ინდივიდუალური ლანდშაფტური არქიტექტურით გამოირჩევა.



















ასეთი ლანდშაფტური არქიტექტურის ძეგლია: ლეღვთახევი, რომელიც ძველი ქალაქის შუაგულში – ჭრელი აბანოების უკან მდებარეობს და როგორც საარქივო ფონდში არსებულ დოკუმენტებში და ფოტოებშია აღბეჭდილი, წინა საუკუნეებში საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული ძველი ქალაქის ცხოვრებაში.

ლეღვთახევის რეაბილიტაციის პროგრამის კონცეპტუალური იდეის მთავარი მიზანი, ამ უნიკალური გარემოს ძველი ქალაქის განუყოფელ ნაწილად ქცევაა.

მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერიტორიისთვის რეკრეაციული ხასიათის მინიჭება, დასასვენებელი ადგილებისა და მდინარეზე მცირე ზომის ხიდების მოწყობა, რაც გააადვილებს ქვედა ჩანჩქერამდე მისვლას და ხევის მხრიდან კლდეზე გადმოკიდებული სახლების დათვალიერებას. □ყოველივე ეს კი თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს შესაძლებლობას მისცემს ქალაქიდან გაუსვლელად, ცენტრალურ უბანში უნიკალურ კლიმატურ პირობებში დაისვენონ და ის არქიტექტურული დეტალები დაათვალიერონ, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილია ამ მიდამოებში (თიხის წყალსადენი მილების ნარჩენები, აგურისა და ქვის კედლები და ა.შ.).

ლეღვთახევზე გადმოკიდებულ სახლებში, მერიის პროგრამით სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რაც შესაძლებლობას ქმნის იქ საოჯახო სასტუმროები და რესტორნები მოეწყოს. შესაბამისი საპროექტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შემდეგ, ლეღვთახევი მრავალფუნქციური უბანი გახდება, მოეწყობა მცირე ავტოსადგომი, კაფეები და დასასვენებელი ადგილები.

ლეღვთახევში სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, თბილისელები და მისი სტუმრები ძველ თბილისში ულამაზეს დასასვენებელ ადგილს მიიღებენ.

გიგი უგულავა: ჩვენ ვიწყებთ რესტავრაციას, რომელიც მოიცავს თავის თავში ამ ხეობის რეკრეაციული ფუნქციის გაძლიერებას, ანუ ეს გახდება მოქალაქეებისთვის, ფეხით მოსეირნეებისთვის კარგი დასასვენებელი ადგილი, ისევე როგორც რესტავრაციას ყველა მიმდებარე ავარიული სახლის და საბოლოო ჯამში ჩვენ აქ მივიღებთ ერთ კიდევ ლამაზ და კარგ უბანს. რაც მთავარია უკვე დაიწყო ის პროცესი, რომ „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ პროგრამის შემდეგ ბევრმა მეპატრონემ თავისი საკუთრების კომერციალიზაცია. მე რამდენადაც ვიცი უკვე ოთხი – ხუთი პატარა ახალი სასტუმროა გახსნილი, რაც ბუნებრივია ამ ხალხისთვის დამატებით შემოსავალია და ყველაფერი ეს უწყობს ხელს თბილისის როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრის ჩამოყალიბებას, რაც თავისთავად დამატებით შემოსავალს ნიშნავს.

# Legvtakhevi Reconstruction-Rehabilitation Project

Tbilisi City Hall starts rehabilitation of Legvtakhevi – a spot with unique landscape architecture and climatic conditions – under the program "New Life of Old Tbilisi". The territory will be landscaped and provided with picnic spots, tourist paths, open cafes and pedestrian bridges. Houses clinging to the slopes of Legvtakhevi gorge are also being reconstructed by municipal authorities – in the future, local residents will be able to open guest houses and restaurants.

After completion of the project, Legvtakhevi will become a multi-functional district, welcoming residents and guests of Tbilisi to pass their free time in this unique old district with remarkable natural setting and important architectural and historical heritage (fragments of surviving clay water pipes, brick and stone walls, etc.).

Gigi Ugulava: "This restoration project we are launching under the program "New Life of Old Tbilisi" will also contribute to strengthening of recreational importance of the target area and development of local business. Legvtakhevi, with its valuable historical architecture and beautiful landscape will become a favorite recreation spot for Tbilisi residents. As I know, the process is already underway and owners of some houses restored under the program "New Life of Old Tbilisi", started their own businesses – up to 5 new guest houses have been opened, generating extra income and fostering development of Tbilisi as a tourist center."



# ახალი გვირაბის მშენებლობა თბილისში



თბილისის მერიამ მოძრაობის განტვირთვის მიზნით, მარშალ გელოვანის გამზირის ბოლოდან დავით აღმაშენებლის ხეივნისაკენ გასასვლელი გვირაბის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. აღნიშნული კვანძის მოწყობა თბილისიდან გამავალი და ქალაქში შემოსული ტრანსპორტის, ასევე რობაქიძის გამზირიდან მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების ნაკადის მკვეთრმა ზრდამ განაპირობა, რაც მუდმივ საცობებს ქმნის.



ამ ეტაპზე გელოვანის გამზირის ბოლოს დამატებითი გზის საყრდენი კედლის მშენებლობა და გვირაბის სანიაღვრე კოლექტორისა და სადრენაჟო ქსელის მოწყობა მიმდინარეობს, გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა ასევე დავით აღმაშენებლის ძეგლს. 95 მეტრი სიგრძის ბეტონის გვირაბის ორივე მხარეს პანდუსები აშენდება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, დავით აღმაშენებლის ძეგლთან გაუქმდება შუქნიშანი და შესაძლებელი გახდება მანქანების შეუჩერებლად გადაადგილება, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე მინიმუმამდე შეამცირებს საცობებს.

გვირაბის მშენებლობა 2010 წლის ბოლოს დაიწყო და სამუშაოები მიმდინარე წლის სექტემბერში დასრულდება. თბილისის მერმა გიგი უგულავამ გვირაბის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

გიგი უგულავა: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გეგმაზომიერად მიდის ქალაქში. ეს კვანძი ერთ – ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სატრანსპორტო თვალსაზრისით. დაიწყო ახალი გვირაბის მშენებლობა, რომელიც არსებითად განტვირთავს ქალაქის ამ მონაკვეთს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერიტორია არის ძალიან აქტიური არქეოლოგიურო ზონა, ამიტომ ჩვენ არქეოლოგიის სპეციალისტებთან ერთობლივად ვმუშაობთ იმისათვის, რომ არ მოხდეს რაიმე ზედმეტი ჩარევა და დაზიანება და საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება ამ გვირაბმა გარკვეულწილად საგანმანათლებლო ფუნქციაც შეიძინოს, ანუ შეიძლება გაკეთდეს სპეციალური ადაპტირებული სტელაჟები, რომლითაც გაიგებ თუ რა ადგილია ეს, იმიტომ რომ ბევრმა აქ მცხოვრებმაც შეიძლება არ იცოდეს. ეს მართლაც ძალიან აქტიური ზონა არის და ძალიან მნიშვნელოვანი ადგილია ადრეული თბილისის ისტორიისთვის და არა მარტო თბილისისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.



# New Underground Passage to Be Built in Tbilisi

To relieve the flow of traffic in Tbilisi, the City Hall started construction of an underground passage at the junction of Marshal Gelovani Avenue, David Agmashenebeli Alley and Robakidze Street. Construction of the new traffic hub was motivated by sharp increase in inbound and outbound traffic in the area and causing frequent jams. The works currently underway on the project site are construction of a support wall for the auxiliary road leading from Marshal Gelovani Avenue and setting up of drainage collector and network, required for future construction of the 95-meter concrete tunnel with ramps on both sides. After the underground passage is launched, traffic lights currently operating at David Agmashenebeli Statue will be dismantled and the traffic will become uninterrupted, reducing the risk of stoppages to the minimum. Construction of the tunnel started in the end of 2010 and will be finished in September 2011.

Mayor of Tbilisi Gigi Ugulava: “We are purposefully improving transport infrastructure of Tbilisi. Crossing of Marshal Gelovani Avenue, David Agmashenebeli Alley and Robakidze Street is one of the largest traffic junctions in the city. Construction of an underground passage in this area aims at relieving and speeding up of traffic flow. Considering that this territory is rather important from archaeological point of view, we maintain cooperation with archaeologists in order to reduce the risk of involuntary damage to historical heritage of the city. The underground passage we are now building might acquire a cultural function of a sort: we hope to equip it with special adapted showcases, narrating history of the place, which is probably unknown to many of local residents. This area is very important indeed, because it contains valuable information on early history of Tbilisi and Georgia on the whole.”







# კალაუბანი



ქ. თბილისის მერია დედაქალაქის ერთ-ერთი ისტორიული ნაწილის კალაუბნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტს იწყებს. თბილისის ამ უძველეს უბანში დღესაც შემორჩენილია შუა საუკუნეებში აშენებული ეკლესიები და XIX საუკუნის საცხოვრებელი სახლები. მათგან ბევრი ე.წ "თბილისური სახლის" საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

თბილისის მერია დედაქალაქის ძველი უბნების გადარჩენისთვის ზრუნვას აგრძელებს.

სარესტავრაციო სამუშაოებს თბილისის მერია, ძველი თბილისის განვითარებისა და რეაბილიტაციის ფონდთან ერთად 2 თებერვალს დაიწყებს. პროექტის ფარგლებში, გამაგრებითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები ქვემო კალაუბანში არსებულ 30-მდე საცხოვრებელ სახლს ჩაუტარდება.

უძველესი ნაგებობების სახურავები საუკეთესო ხარისხის თუნუქითა და კრამიტით გადაიხურება. ეზოები ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი აგურის ღობეებით შემოიფარგლება. გაკეთდება ღია, შემინული აივნები.

კალაუბანში მთლიანად გამოიცვლება წყალსადენის და კანალიზაციის მილები, ასევე სანიაღვრე ქსელები. დამონტაჟდება ახალი გარე განათების ბოძები.

რაც მთავარია, კალაუბანი ძველ იერსახეს შეინარჩუნებს. მოსახლეობას კი ცხოვრების უკეთესი პირობები შეექმნება. თითოეულ ეზოში მიწისქვეშა კომუნიკაციები გამოიცვლება.

კალაუბნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის თანხებს დედაქალაქის მთავრობა დაფარავს.

კალაუბანი თბილისის ამჟამინდელ ცენტრს ემიჯნება და ორი ნაწილისგან – ზემო და ქვემო უბნებისგან შედგება.





ბეთლემის ქ. □35
სამუშაოს ჩამონათვალი
სახურავის თუნუქით მოწყობა;
ღობის მოწყობა აგურით;
ახალი ჭიშკრის მოწყობა;
ფასადის რესტავრაცია;
ღია და შემინული აივნის მოწყობა.

35, Betlemi Street
Assignment
Roof the house with zinc;
Set up a brick fence;
Install a new gate;
Restore the façade;
Build open and glazed balconies

ბეთლემის ქ. □ 37
სამუშაოს ჩამონათვალი
სახურავის თუნუქით და კრამიტით მოწყობა;
ფასადის კედლის მოპირკეთება აგურით;
ძველი კედლის დემონტაჟი და ახლის აშენება;
ახალი ჭიშკრის მოწყობა;

37, Betlemi Street
Assignment:
Roof the construction with zinc and tile;
Face the facade wall with brick;
Dismantle an old wall and build up a new one;
Install new gate;









ბეთლემის ქ. □43
სამუშაოს ჩამონათვალი
სახურავის კრამიტით მოწყობა;
არსებული მიშენების კონსტრუქციების შეცვლა;
შემინული აივნის მოწყობა;
ფასადის მოპირკეთება აგურით.

43, Betlemi Street
Assignment
Roof the building with tile;
Replace the existing outbuilding constructions;
Set up a glazed balcony;
Face the facade with brick

გორგასლის I შესახვევი □4/5; 6/5
სამუშაოს ჩამონათვალი
სახურავის თუნუქით მოწყობა;
კედლების გამაგრება;
ფასადის სრული რესტავრაცია:
ახალი აივნების მოწყობა;

4/5 and 6/5, Gorgasali Lane 1
Assignment
Roof the building with zinc;
Reinforce the walls;
Fully restore the facade:
Build new balconies





# KALAUBANI



Tbilisi City Hall launched a project on reconstruction-rehabilitation of Kalaubani, one of historical districts of Tbilisi. In this ancient part of the city you can still find medieval churches and 19th century houses, many of which represent excellent samples of so-called Tbilissian house architecture. Tbilisi City Hall continues its work, aiming at preservation of historical districts of the city. Restoration activities in Kalaubani district were started on February 2 in cooperation with Old Tbilisi Development and Rehabilitation Foundation. The project implies reinforcement and rehabilitation works for up to 30 residential houses in Lower Kalaubani.

Historical houses will be roofed with high quality zinc sheets and ceramic tiles; open glazed balconies will be arranged on their facades; courtyards will be decorated with brick fences, typical for old Tbilisi.

City Hall will fully renovate water supply, sanitation and drainage networks, existing in the district and update the outdoor lighting systems.

Kalaubani will retain its traditional look, while its population will be provided with better living conditions.

Kalaubani reconstruction-rehabilitation project will be funded from municipal budget.

The historical district of Kalaubani adjoins the current center of Tbilisi and consists of two parts – Upper and Lower Kalaubani.





გორგასლის I შესახვევი №5
სამუშაოს ჩამონათვალი
სახურავის თუნუქით და კრამიტით მოწყობა;
ფასადის სრული რესტავრაცია:
ღია აივნის სრული რესტავრაცია;
აივნის დეკორატიული დეტალების მოწყობა;

**5, Gorgasali Lane 1**
**Assignment**
**Arrange zinc and tile roofing;**
**Fully restore the facade:**
**Restore the open balcony**
**Decorate the balcony**

ორპირის ჩიხი № 25გ
სამუშაოს ჩამონათვალი
სახურავის კრამიტით მოწყობა;
ფასადის სრული რესტავრაცია:
ღია აივნის სრული რესტავრაცია;
აივნის დეკორატიული დეტალების მოწყობა;

**25G, Orpiri Alley**
**Assignment**
**Roof the building with tile;**
**Fully restore the facade:**
**Restore the open balcony;**
**Decorate the balcony**









სალამის ქ. №10ა
სამუშაოს ჩამონათვალი
შენობაზე დაშენების მოწყობა ხის კონსტრუქციით;
აივნის მოწყობა
სახურავის კრამიტით და თუნუქით მოწყობა;

**10A, Salami Street**
**Assignment**
**Build the wooden overstory;**
**Build balconies**
**Roof the building with zinc and tile**

თუმანიანის ქ. №17
სამუშაოს ჩამონათვალი
სახურავის თუნუქით მოწყობა;
დაზიანებული კედლების გამაგრება;
ფასადის მოპირკეთება ქართული აგურით;

**17, Tumanian Street**
**Assignment**
**Roof the house with zinc;**
**Reinforce the damaged walls;**
**Face the facade with Georgian brick;**







# იუსტიციის სამინისტროს ახალი ადმინიტრაციული შენობა



## არქიტექტურული პროექტის ავტორი: "არქიტექტურული ჯგუფი და პარტნიორები"

2010 წლის 1 სექტემბერს თბილისში იუსტიციის სამინისტროს ახალი ადმინიტრაციული შენობის გახსნის ცერემონია გაიმართა.

ულამაზესი შენობა, რომელიც თბილისში, გორგასალის ქ. №4-ში მდებარეობს, სასიამოვნო დისონანსის მქონე მოულოდნელობებს დეკლარირებს. მისი არქიტექტურა გარემო სივრცის დომინანტია, ერთბაშად იპყრობს ყურადღებას და დადებითად განაწყობს მნახველს.

სამინისტროს სათაო ოფისში მოხვედრისას შთაბეჭდილება ძლიერდება. დიზაინის არქიტექტონიკა განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საერთო ატმოსფეროს. მთლიანი სივრცე ორიგინალური თემებითაა აღსავსე. მის ორგანიზებაში მინიმალიზმი და „სისუფთავე" გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. ასეთი მიდგომა სტილისტიკაში „არაორდინალურ ჩართვებს" განაპირობებს და მას დასაშვებს ხდის. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი სივრცეს სხვადასხვა დომინანტი დიზაინერული ნიუანსებით შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, ახალი ინტერიერის ესთეტიკა საჭიროებს არა მხოლოდ ახალ ფორმებსა და საგნებს, ის აუცილებლად ეყრდნობა უკვე არსებულს - მის სახასიათო ნიუანსებს, ცალკეულ ასოციაციებს, რაც მთელი სივრცის ჭეშმარიტად თანამედროვე ჟღერადობის გამოსავლენადაა აუცილებელი.

მთელი მოცულობა, როგორც ექსტერიერი ასევე ინტერიერი, უმაღლესი ხარისხის, თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. შენობა უმაღლეს სტანდარტებს აკმაყოფილებს. ოფისები უახლესი სამუშაო ინვენტარით დაკომპლექტდა.

შენობის შიდა (მოდულური ხალიჩის მოწყობა), გარე-შუშის ფასადის სისტემების სამუშაოები შესრულდა და ინტერიერები ავეჯით აღიჭურვა კომპანია „არქთრეიდის" პროდუქციით, კერძოდ: ფასადის სიტემა, შუშის შიდა ტიხრები, ხალიჩა და ავეჯის მიწოდება-მონტაჟი.

გამოყენებული პროდუქტები: Schuco-ს ალუმინის სისტემები, KABA - მბრუნავი შესასვლელი კარი, MAARS-ში და ტიხრები, Milliken-ის ხალიჩა, Ahrend Dutch Royal-ის ავეჯი.

სამუშაოს მოცულობა: 5500მ$^2$ ფასადის სისტემა, 1300მ$^2$ შიდა ტიხრები, 4900მ$^2$ ხალიჩა და 250 სამუშაო ადგილისთვის ავეჯის მიწოდება-მონტაჟი.

ფოტო © კომპანია არქთრეიდი











# Ministry of Justice of Georgia – New Headquarters

*Authors of architectural design project: "Architectural Group and Partners"*







On September 1 2010, Ministry of Justice of Georgia launched its new headquarters.

The beautiful building, located in no. 4 Gorgasali Streeet, Tbilisi, dominates its architectural background.

Interior of Ministry headquarters is subjected to strict laws of design architectonics, which have a substantial influence on its general atmosphere. The design comprises numerous original themes, with minimalism and purity set out as key artistic principles. Such approach implies existence of contrasting highlights in the general stylistic background; as a result, visitors take in the space by “reading” the map of dominant details, their form and color and stylistic associations, indispensable for creation of a truly modern design.

Both exterior and interior design of Ministry headquarters involve advanced technologies and top-notch equipment.

Façade glazing and interior finishing works were implemented by Archtrade Company, using such products as Schuco aluminum structures, KABA revolving doors, Maars partitions, Milliken carpet flooring, Ahrend Dutch Royal furniture (working area in total: 5500 sq. m.; inner partitions: 13000 sq. m.; carpet flooring: 4900 sq. m.; quantity of workstations set up: 250).

PHOTO © COMPANY ARCHTRADE







# ვიზიტორთა ცენტრი



უფლისციხესთან მრავალფუნქციური კომპლექსის - ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ავტორია არქიტექტორული ჯგუფი დემარკი. მშენებლობის რამდენიმე ეტაპი უკვე დასრულებულია.

ახალი კომპლექსი რამდენიმე სხვადასხვა დანიშნულების მოცულობას მოიცავს და შესაბამისად ზონებადაა დანაწილებული.

კომპლექსის მოცულობითი კომპოზიცია სხვადასხვა დომინანტისგან შედგება: მუზეუმის საგამოფენო სივრცე, საკონფერენციო დარბაზი, ბავშვთა საგანმანათლებლო ცენტრი, ღია პავილიონები თუ დახურული საზოგადოებრივი სივრეცეები. დანარჩენ ზონებს გარკვეული დანიშნულების მოცულობები დაიკავებს - ხალხური რეწვის დახლები, სუვენირების მაღაზიები, კაფე, დაცვის ოფისი, სალარო.

კომპლექსის მიმდებარედ დაგეგმილია რეკრეაციული ზონის გაფართოება, კერძოდ სასტუმროს ტიპის კოტეჯების მშენებლობა ჩამოსული სტუმრებისთვის, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით.

პროექტის მიხედვით, ტერიტორია აღჭურვილია ოპტიმალური სატრასპორტო -საგზაო ქსელით, რომელიც მას მოხერხებულად დააკავშირებს ცენტრალურ ტრასასთან. კომპლექსის ტერიტორიაზე ჩატარდა მთელი რიგი სამუშაოები. იგი გაიწმინდა. მოეწყო გამწვანება, განათება.

თანამედროვე კომუნიკაციებით და ტექნიკით აღჭურვილი კომფორტული „საზოგადოებრივი სივრცე“ ვიზიტორთა ერთ-ერთი „საექსპოზიციო“ მონაპოვარი გახდება. ყოველივეს, კი პროექტის ავტორთა პროფესიონალიზმი და მიზანდასახულობა განპირობებს.

ნინო ლაღიძე









# Visitor's Center

Location: Uplistsikhe, Georgia
Author: Dmark Ltd




# ახალი საოფისე შენობა ვახუშტის ხიდთან



თბილისში, ვახუშტის ხიდთან, ახალი საოფისე მრავალფუნქციური შენობა აშენდა. პროექტის ავტორია არქიტექტურული ჯგუფი „დემარკი“. 18 სართულიანი შენობის არქიტექტურა აბსოლუტურად თანამედროვეა, კოსმოპოლიტურია. იგი ორი ბლოკისგან შედგება. საერთო ფართი 7000 კვ. მ-ს შეადგენს. გონივრულად შერჩეული მასალით, თითოეული არქიტექტურული ნიუანსით მოცულობა მასშტაბურია და მსუბუქად დგას ჰორიზონტალურ ლანდშაფტზე. შენობის კონტურები, მრავალპლანიანი დანაწევრება მნახველს დიდი ინტერესითა და სიმპატიით განაწყობს.

ექსტერიერი გარე სამყაროშია შეჭრილი - თითქმის მთლიანად გახსნილი შემინული სივრცეები გარემოსთან აბსოლუტურ სინქრონში მოდის. მისი მგრძნობიარე მემბრანად გარდაქმნილი გარსი, შიდა და გარე სამყაროს ერთიმეორის მონაცვლეობით აღიქვამს.



# New Officce construction near Vakhushti's bridge

Location: Tbilisi

Author: Dmark Ltd's Architects





# ბათუმის „სანაპირო"



ავტორი: ზურაბ შავაძე
დაიბადა 1983 წლის 6 მარტს
2007 წელს მაგისტრის ხარისხით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედია ხელოვნების ფაკულტეტი;
პროფესიული გამოცდილება:
2003-2004 წწ. - კომპანია "მედია არტი", დიზაინერი;
2004-2005 წწ. - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედია ხელოვნების ფაკულტეტი, პედაგოგი;
2005-2009 წწ. - კომპანია "არქიტრავი" არქიტექტორ-დიზაინერი;
2009-2010 წწ. - კომპანია "BBD დიზაინი" (საფრანგეთი), შვიდთვიანი სტაჟირება. დიზაინერი;
2010-2011 წწ - კომპანია "MSG" media servis group. დიზაინერი
2011-2011 წწ. - ვორკშოფი იტალიაში - "კაკუზის", "სიჩის", "დევონ&დევონის", "ჯესის", "დუკას", "არლექსის" ფაბრიკებსა და შოურუმებში;
2008 წ. - საერთაშორისო კონკურსის - "არქიტექტურული პრემია 2008", ნომინაციის - "მრავალსართულიანი საცხოვრებელი/კომპლექსი" ლაურეატი (I პრემია). -კომპანია "არქიტრავი"-ს პროექტის თანაავტორი
2010 წ. - საერთაშორისო კონკურსის - "არქიტექტურული პრემია 1010", ნომინაციის - "მრავალსართულიანი საცხოვრებელი/კომპლექსი"(პროექტი) ლაურეატი (I პრემია).





ზურაბ შავაძის პროექტებით მრავალი საინტერესო ობიექტი განხორციელდა.

ამჯერად წარმოგიდგენთ მის ერთ-ერთ საინტერესო ნამუშევარს ბათუმში - სასტუმრო „სან-აპიროს“. შენობის პროექტი ზურაბ შავაძემ არქიტექტორებთან - ოთარ შავაძესთან და რამინ შავაძესთან ერთად შექმნა. პროექტზე არქიტექტურული კომპანია „არქიტრავი“ მუშაობდა.

თანამედროვე საზოგადოებრივი შენობის ტექნიკური თუ ესტეტიკური მოთხოვნების და მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინებით, პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, შესაბამისი მოცულობა შეიქმნა. ნაგებობის არქიტექტურული გრაფიკა, მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობა, თავისუფალი ფორმების და დეკორის ესთეტიზმი ნათლად წარმოაჩენს ექსტერიერისა თუ ინტერიერის თვითმყობადობას.

შიდა სივრცის მოდულური კომპოზიცია - დომინანტი არქიტექტონიკური ელემენტების ფუნქციურ-მხატვრული ხასიათის მატარებელია და მთლიანად განსაზღვრავს ინტერიერის „ხასიათს“.

ზოგადად, ობიექტის გარეგნული იერსახის იდეა წამოვიდა მისი მდებარეობიდან გამომდინარე. ზღვის მხარეს მოქცეული უკანა ფასადი ერთგვარად “ლაგუნას” მოგვაგონებს, სადაც განთავსებულია გამწვანება და მოსასვენებელი სკამები. გადაშლილი ზღვის ხედი განსაკუთრებით ლამაზია მზის ჩასვლის დროს.



სასტუმრო ოთახების ძირითადი ნაწილიც, სწორედ ზღვის მხარეს არის განთავსებული.

წინა ფასადი მაქსიმალურად შემინულია, საიდანაც იშლება ხედი წინამდებარე ხეებსა და მთებზე. შემინული ფასადი, ასევე საინტერესოდ გამოიყურება საღამოს - ინტერიერში განთავსებული განათებების მეშვეობით.

„სანაპიროს“ სპეციფიური თუ საზოგადოებრივი ზონების ინტერიერებში, ზოგჯერ, სწორედ „ხასიათიდან“ გამომდინარე ზედმეტი დეკორატიული დეტალების იგნორი, წყნარი ფერითი კონტრასტებითაა კომპენსირებული.



სივრცეში, წარმოქმნილ მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული სათავსოს ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება. მათი კონტრასტულობა თავისუფლების შეგრძნებას ბადებს. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას.

წარმოდგენილი, დასტურია იმისა, რომ მოცემულ სივრცეში, ფუნქციურისა და სილამაზის შერწყმით, ის აუცილებელი „სიზუსტე“, სიმყუდროვე და კომფორტი შექმნა, რომელიც პროფესიონალის კონცეპტუალურ კრედოს დეკლარირებს.



# The coast of Batumi



Author: ZURAB SHAVADZE
Date of birth: March 6 1983
Education background:
2007 – Graduated from Tbilisi State Academy of Arts (Faculty of Media Art) with a MA degree
Professional background:
2003-2004 – Media Art Co., designer
2004-2005 – Tbilisi State Academy of Arts, Faculty of Media Art – teacher
2005-2009 – Arkitrave Co., architect-designer
2009-2010 – BBD Design Co. (France), 7-month design internship
2010-1011 - MSG media servis group Co., designer
2011 – Workshop in Italy (plants and showrooms of Jacuzzi, Sicis, Devon&Devon, Gessi, Duca and Arlex)
2008 - Laureate of international competition “Architectural Award 2008”, nomination “Residential Complex” - (1st prize), with Arkitrave Co.
2010 – Laureate of international competition “Architectural Award 2010”, nomination “Residential Complex” - project (1st prize)



Architecture of new Hotel San'apiro in Batumi (exterior, interior,) has been designed by architect Zurab Shavadze, with architects Otar and Ramin Shavadze. On the project worked Architectural Group Architravi.Considering technical and aesthetic requirements and standards related to ultramodern Public construction and based on his own professional knowledge, the architects created a relevant ultramodern construction. Architectural graphics of the building, subtle variance of masses, colors and shapes, as well as striking aestheticism of décor highlight originality of exterior and interior design. Modular composition of interior is both functional and artistic.

Designing of interiors for public and limited access zones in a multifunctional establishment requires a subtle approach. Considering this subtlety, the authors cut down the use of decorative details but applied laconic color contrasts.

Unexpected design features and custom-made furniture add lightness and comfort to the interior. Individual character and functionality of each space stand out clearly against the general stylistic background. Integrity of constructional and decorative details visually increases the interior, highlights its forms and accentuates depth and intensity of colors.

This confirms that the architect successfully coped with the challenging task he was given and found the exact combination of functionality and aestheticism to form a comfortable space, which is a physical expression of the author's professional credo.

NINO LAGHIDZE









# ახალი სკოლა სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში



ავტორები - არქიტექტორები:
გიორგი მახარაშვილი
თენგიზ მახარაშვილი

ახალი სასწავლო წლიდან ახალ სკოლაში დაიწყო სწავლა სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის 400-ზე მეტმა მოსწავლემ. 2011 წლის 20 იანვარს კი სკოლა დაათვალიერეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, კახეთის გუბერნატორმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

პრეზიდენტმა პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და სოფლის მცხოვრებლებთან ერთან შეხვედრისას მაღალი შეფასება მისცა ახლადშენებულ სკოლას და აღნიშნა, რომ მისი არქიტექტურული გადაწყვეტა და აღჭურვა სრულად შეესაბამება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს.

არქიტექტორების, გიორგი და თენგიზ მახარაშვილების, ჯუგაანის სკოლის პროექტმა გაიმარჯვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2007 წელს, ი. გოგებაშვილის პროგრამით გამოცხადებულ კონკურსში. ამავე კონკურსში მათმა მეორე პროექტმაც (ქ. ბორჯომის №3 საჯარო სკოლა) გაიმარჯვა, შედეგად ბორჯომის ცენტრში 2010 წლის სექტემბერშიგაიხსნა თანამედროვე მაღალი არქიტექტურული დონის სკოლა 720 მოსწავლეზე.

ჯუგაანის ახალი სკოლა, ფერდობზე ტერასებადაა განლაგებული და რამდენიმე, ფუნქციონალურად განსხვავებული ბლოკისგან შედგება. ევროსტანდარტების შესაბამისად სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეების საკლასო ოთახები სხვადასხვა ტერასაზე და ბლოკებშია განლაგებული. ქვედა ტერასა, რომელიც პირდაპირ ეზოს უკავშირდება დაწყებითი კლასების მოსწავლეებს აქვს დათმობილი. ცალკე სამსართულიანი ბლოკი ეთმობა დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების საკლასო ოთახებს და რეკრეაციებს, რომლებიც სართულების მიხედვით არიან დიფერენცირებული. მეორე - სამსართულიან ბლოკში განთავსებულია სკოლის ადმინისტრაცია, პერსონალი, ბიბლიოთეკა და საა-









ქტო დარბაზი. სკოლის ძირითად შენობასთან გადასასვლელებითაა დაკავშირებული სპორტული დარბაზი და კვების ბლოკი. შენობის მოცულობების გამაერთიანებელი მოცულობებია ცენტრალური შემოსასვლელი ვესტიბიულით და რეკრეაციული სივრცეები. ევროსტანდარტების მოთხოვნებს პასუხობს აგრეთვე ორი ლიფტი და სპეციალური პანდუსები უნარშეზღუდული ბავშვებისთვის.

ამრიგად სკოლის შენობის ტერასული და ბლოკირებული სტრუქტურა, მათი რიტმი, მასშტაბი, აგრეთვე მინის ვიტრაჟებიანი ფანჯრები, ჟალუზები, ქანობიანი სახურავი, ფასადების და ინტერირის რეკრეაციის აგურით მოპირკეთება და სხვა არქიტექტურული ელემენტები, ქმნიან ერთიან და საინრტერესო არქიტექტურულ-სივრცობრივ გადაწყვეტას.

სკოლის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია გამწვანდა და კეთილმოეწყო. მის ზედა ტერასაზე განლაგებულია ღია სპორტული მოედანი, სარეკრეაციო მწვანე სივრცეები. ეზოს პერიფერიულ ნაწილში აშენდა საქვაბე, წყლის რეზერვუარი და სხვა დამხმარე ნაგებობები. სკოლის ცალკეული ფუნქციონალური ზონები ერთმანეთს უკავშირდება ბეტონის შიდა გზებით.

სკოლა დაპროექტდა და აშენდა მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით. ავტორების, განათლების სამინისტროს, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მშენებლების ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად მიღწეულ იქნა საინტერესო არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტა და მშენებლობის მაღალი ხარისხი.





# New School in Jugaani Village, Signagi

*Authors: architects Giorgi Makharashvili and Tengiz Makharashvili*

From the beginning of the new school year onwards, over 400 pupils of Jugaani village (Signagi district) can study in a new school building. On January 20 2011 the new school was visited by President of Georgia Mikheil Saakashvili, Minsiter of Education and Science Dimitri Shashkin, governor of Kakheti and other officials.

During his meeting with school teachers, pupils and villagers, President expressed a highly positive opinion about the new school building and noted that its architecture and facilities fully satisfy modern European standards.

Jugaani School project designed by architects Giorgi and Tengiz Makharashvili won the competition, launched by Ministry of Education and Science of Georgia under I. Gogebashvili Program, in 2007. Their other project – Public School no. 3 in Borjomi – which won this competition in the same year was realized in Semteber 2010. As a result, Borjomi can boast a new school building of remarkably good architectural design.

New Jugaani School is laid out on a sloping site in terraces and comprises several functional blocks. In accordance with contemporary education standards, study areas for various age groups are located in separate facilities, on different terraces. The lower terrace, which has a direct access to the courtyard, is assigned to the youngest school pupils. A separate three-level facility comprises classrooms and recreation rooms for pupils of other age groups. Still another three-level construction is allocated for school administration, library and meeting hall. Gym and canteen are con-







nected with the administrative building by passageways. Different parts of the school are integrated by the entrance hall and recreation spaces. The school is equipped with two elevators and ramps for disabled children.

Terraced school complex with large window openings, steep roof, brick facades presents an interesting and original architectural solution.

Considerably large premises of the school have been landscaped; the upper terrace contains an outdoor sports pitch and green recreation zones; boiler room, water reservoir and other support structures are located in the remote part of school courtyard.

School building project design and construction was funded by the World Bank and the Government of Georgia. Cooperation of project authors, in cooperation with the Ministry of Education, Municipal Development Foundation and contractor companies, achieved an interesting and creative architectural solution, realized with high construction standards.



# სვანეთის აეროპორტი



2010 წლის 2010 წლის 24 დეკემბერს მესტიაში ახალი, თამარ მეფის სახელობის აეროპორტი საქართველოს პრეზიდენტმა ოფიციალურად გახსნა. ეს აეროპორტი არის მესტიის, როგორც სათხილამურო კურორტის განვითარების გეგმის ნაწილი.

სვანეთის ულამაზეს მთებში განთავსებული ნაგებობა საკმაოდ სწრაფად აშენდა. ახალი აეროპორტი ზღვის დონიდან 1400 მეტრზე მდებარეობს, მაგრამ რთული რელიეფის მიუხედავად, უსაფრთხო ფრენას უზრუნველყოფს.

უსაფრთხოების გარანტი ის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობაა, რომელიც ევროპელ სპეციალისტებთან ერთად დამონტაჟდა. აეროპორტს 120 მეტრიანი ასაფრენი ბილიკი ამინდის მიუხედავად, მცირე ლაინერების მიღებას ნებისმიერ სეზონზე შეძლებს. აეროპორტს საკუთარი სანავიგაციო სისტემა აქვს. შენობა ცნობილმა გერმანელმა არქიტექტორმა მაიერმა დააპროექტა.









# Airport in Svaneti



On December 24 2010 President of Georgia Mikheil Saakashvili launched newly-built King Tamar Airport was launched in Mestia, Svaneti. This airport was built as part of the plan implying development of Mestia as ski-resort.

The new airport is located at 1400 meters above the sea level; in spite of complex relief it fully satisfied safety regulations due to advanced equipment, which was set up there in cooperation with European specialists.

The 120-meter runway of Mestia Airport is capable of receiving small liners in any season. The airport is equipped with its own navigation system. Airport building was designed by famous German architect Jurgen Mayer.













# სათაფლიის ნაკრძალი

სათაფლიის ნაკრძალი ქ. ქუთაისს ჩრდილო-დასავლეთით 6 კმ. დაშორებით ესაზღვრება. ქუთაისიდან სოფელ ბანოჯის მიმართულებით გაყვანილია მოასფალტებული საავტომობილო გზა.

სათაფლიაზე არსებული დინოზავრის ნაკვალევი, რომელიც ათეულობით მილიონ წელს ითვლის, მსოფლიო მასშტაბისაა და ერთ-ერთი იშვიათი ძეგლია, რომლის ახლოს მდებარეობს კარსტული გამოქვაბული გამჭირვალე სტალქტიდებითა და სტალგმიტებით.

სათაფლიის ნაკრძალში დაცულია შესანიშნავი ტყე, რომელიც ხუთას ჰექტარს მოიცავს. ამჟამად დასრულებულია ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები. სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ინფრასტრუქტურის პროექტი - „სათაფლიის დაცული ტერიტორია“ არქიტექტურულ-დიზაინერულმა ფირმამ - შ.პ.ს. „ქართული პროექტი“ (მთავარი არქიტექტორი: გ. ჭკუასელი) - შეიმუშავა.

შესაბამისი პროექტის ფარგლებში გაკეთდა მღვიმესთან არსებული კლდოვანი ნაპირის 210 მეტრიანი მონაკვეთის მოაჯირით შემოღობვა, დინოზავრის ნაკვალევზე დადგმული რკინის დამცავი მოწყობილობა ხის ორიგინალური კონსტრუქციით შეიცვალა. მოპირკეთდა მღვიმისკენ მიმავალი ბილიკი. ექსტრემალური დასვენების მსურველთათვის მოეწყობა საკარვე ადგილები, გაიხსნა სუვენირების მაღაზია და კაფეტერია.

# Sataplia Reserve

Sataplia Reserve, located in 6 kilometers to the north-east from Kutaisi, is famous for ancient dinosaur's footprint, caves with translucent stalactites and stalagmites and a well-preserved 500 ha forest.

At the time being, the Reserve is being renovated. Sataplia Reserve infrastructure upgrade project was developed by architectural design company Georgian Project Ltd. Chief architect: G. Chkuaseli

The project, core construction works of which are already finished, implies installing of rails along a 210-meter section of a precipitous slope replacing of the existing metal protective construction set up over the dinosaur's footprint with an original wooden construction, clearing of camping sites for hiking amateurs, launching of a souvenir shop and a cafe.

















# თეთრი ტბა



მომავალი სეზონისთვის, თბილისის ე.წ. „გლდანის დიდი ტბა“ და მისი მიმდებარე ტერიტორია თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვება. პროექტის დამკვეთია ქართველი ბიზმესმენი ქალბატონი - ნატალია კვანტალიანი. წარმოდგენილი პროექტის ავტორი არქიტექტორი დავით ცუცქირიძე გახლავთ.

ამ პროექტის განხორციელებით, თბილისს შეემატება კიდევ ერთი, აბსოლუტურად ახალი ტიპის დაცული, კეთილმოწყობილი ტერიტორია. იგი, უახლოეს წარსულში მივარდნილ ნაგავსაყრელს წარმოადგენდა, არადა ტბა, რომელსაც პროექტის ავტორის გადაწყვეტილებით, ამიერიდან „თეთრი ტბა“ ეწოდება, სიდიდით სამჯერ აღემატება კუს ტბას, უხვთევზიანია, არაჩვეულებრივი მდებარეობით და ლანდშაფტით გამოირჩევა და მისი მოწესრიგებით ულამაზეს საჩუქარს მიიღებენ თბილისელები.







„თეთრი ტბის“ ინფრასტრუქტურის პროექტის განსახორციელებლად უკვე სამი წელია, უშუალოდ, ქალბატონ ნატალია კვანტალიანის ძალისხმევით და ხელმძღვანელობით მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები - გაიწმინდა ტბა, მისავლელი გზები, კეთდება ავტოსადგომები. ტბა, ახლოს არის გლდანის ცენტრალურ მარგისტრალთან. მის პარალელურად გადის სამხედრო, ე.წ. „აბრეშუმის“ გზა.

პროექტის ფარგლებში ტბა და მისი მიმდებარე ტერიტორია იყოფა რამდენიმე ზონად: პირველი - ღია სარეკრეაციო დასასვენებელი ზონა მოიცავს კომფორტულ პლაჟს, ღია კაფეებს, ბუნგალოებს. ამავე ზონაშია დაგეგმილი ბავშვთა გასართობი ცენტრი - 4□ სისტემის, მინი-კინოთეატრით 30 მაყურებელზე. პლაჟის გასწვრივ, ღია კაფეების და საჩრდილობლების მცირე არქიტექტურული ფორმები არაორდინალური თეთრი ფერის ფორმა-დიზაინით გამოირჩევა (საერთოდ მთელს ტერიტორიაზე ყოველი მოცულობა თეთრი ფერის მეტალის კონსტრუქციებით, მინის ამრეკლავი ზედაპირებით თუ მასალით იქნება არჭურვილი და მოპირკეთებული. თეთრი ფერის სამოსში იქნება გამოწყობილი მომსახურე პერსონალიც). ბავშვებისთვის კეთდება გასართობი მოედნები. ტერიტორიაზე სასეირნო ბილიკებისა და საპიკნიკე ადგილების მოწყობაცაა დაგეგმილი.

„თეთრი ტბის“ მეორე - საზოადოებრივ ზონაში უნდა აშენდეს ფეშენებელური დასასვენებელ-გასართობი კომპლექსი, „ ჭჰიტე □ვენტ □ალლ “, რომელიც მასშტაბური წვეულებების (პრეზენტაციები, ჩვენებები და სხვა) გამართვის შემთხვევაში 800 სტუმარზეა გათვლილი. კომპლექსი მოიცავს სამაყურებლო დარბაზს თავისი სცენით, რესტორანს, ბარებს, საგამოფენო სივრცეებს და სხვა შესაბამის ძირითად თუ დამხმარე სათავსოებს. კომპლექსის მიმდებარედ გათვალისწინებულია გამწვანებული ტერიტორიების მოწყობა, ღია ცის ქვეშ ჩასატარებელი ღონისძიებებისთვის. ტბაზე მრავლადაა ე.წ. დოკები. აქ შესაძლებელი იქნება ფრეგატებით და იახტებით სეირნობა. „ ჭჰიტე □ვენტ □ალლ “-ს მიმდებარედ იახტკლუბი დაიდებს ნავსაყუდელს.

ტბის ზედაპირზე აიგება მსუბუქი კონსტრუქციის შემინული სადღესასწაულო - საპრეზენტაციო დარბაზი, რომელიც განსაკუთრე-




















ბული შემთხვევების გარდა, იმუშავებს, როგორც რესტორანი ტბაზე. დარბაზის შემინული იატაკი - უზარმაზარი აქვარიუმი - გაამრავალფეროვნებს ინტერიერს. გარდა ამისა, ტბაში შეჭრილ ღერძზე დამონტაჟდება უზარმაზარი ეკრანი, რომლის მეშვეობითაც დამსვენებლები ნახავენ და მოისმენენ საინტერესო გადაცემებს ან „ ჭჰიტე □ვენტ □ალლ “-ში მიმდინარე ივენთებს. დაგეგმილია ტბის შუაგულშიც მოეწყოს ე.წ. „წყლის ეკრანი“, რომელიც მსგავსი სანახაობებისთვის იქნება განკუთვნილი და ვიზუალურადაც გაამდიდრებს გარემოს.

ტბის სანაპიროს გასწვრივ, ძირითადი კომპლექსისგან მოშორებით, გათვალისწინებულია მოეწყოს მეთევზეთა სადგომები, რადგან, როგორც უკვე ავღნიშნეთ ტბა უხვთევზიანია.

პროექტის თანახმად, „თეთრი ტბის“ მეორე მხარეს - საზოგადოებრივი ზონის მოპირდაპირედ (ადგილი ესაზღვრება აქ არსებულ სააგარაკე ნაკვეთებს), საცხოვრებელი ზონა გაშენდება. თორმეტი ინდივიდუალური, მაღალი კლასის ვილებით შექმნილი განაშენიანება გამორჩეული იქნება, იმით, რომ ყველა სახლი, თავისი ნაკვეთით იხსნება ტბაზე. სახლის შესყიდვის შემთხვევაში, მის მფლობელს პროექტის მესვეურებისგან საჩუქრად გადაეცემა კატერი.

არქიტექტურულ-მოცულობითი და ფუნქციონალური თვალსაზრისით საინტერესოდაა გადაწყვეტილი კომპლექსის ტერიტორიაზე მთავარი შესასვლელი. იგი შექმნილია ორი, დინამიური, წაგრძელებული შენობისგან. ერთში განთავსებულია ოცდაათნომრიანი (3-4 ვარსკვლავიანი) სასტუმრო, მეორეში კი სათამაშო-გასართობი ცენტრი.

მალე, თბილისის უნიკალური დასასვენებელი კომპლექსი სანუკვარი ადგილი გახდება, როგორც თბილისელებისთვის, ასევე დედაქალაქის სტუმრებისთვის.

ნინო ლალიძე












# White Lake

By the next season, so-called Gldani Lake area will become publicly available with updated infrastructure. The project is funded by Georgian businesswoman Natalie Kvantaliani. Project author is architect David Tsutskiridze.

When this project is realized, Tbilisi will have one more protected recreation area of absolutely new type. This place, which served as one of city dumps the recent years, boasts a lake three times as big as the Turtle Lake (1000x300 m), abundant in fish and set in a breath-taking landscape. White Lake development project is a really generous gift for Tbilisi population.

White Lake area development started three years ago; the lake was cleaned, access roads were upgraded, parking lots are being arranged. The lake is located near to central highway of Gldani District, parallel to Georgian Military Road.

Under the project, While Lake area is divided into several zones. One of them - public recreation zone - includes a beach, a number of open cafes and bungalows, youth entertainment centre and a miniature 4D cinema. Open cafes and awnings lined along the beach boast original design and prevalence of white colour (every construction in the public area will be faced with white, transparent or mirror materials and local personnel will wear white uniforms). Several playgrounds will be arranged for children; the area will be provided with pedestrian pathways and picnic spots.















Another zone of White Lake Area is reserved for fashionable recreational complex "White Event Hall", dedicated to large events (presentations, shows, etc.) with up to 800 participants. The complex will include a spectator hall with a stage, a restaurant, several bars, exhibition spaces, open terraces for outdoor events and other relevant facilities. As the lake is large enough for yachting, the second zone will also include a yacht club.

A presentation hall will be built with light glazed constructions on the lake surface - this facility will function as a restaurant and host especially festive events. A large screen will be mounted on a mast above the lake for broadcasting of events going on in the White Event Hall and other interesting footage.

To make the most of the main attraction of the area - as we said above, the lake is abundant in fish - fishing spots will be arranged at a distance from the main architectural complex.

According to the project, the shoreline across from the public zone will be allocated for housing development. Residential complex will include 12 villas with homestead plots opening on the lake. Buyers of each villa will receive a motor boat as a gift from project representatives.

Main entrance to White Lake area is framed by two elongated dynamic buildings, of which one is going to house a 30-bedroom hotel (3-4 stars), and the other - an entertainment centre.

We are sure that White Lake area will soon become a popular recreation spot for Tbilisi residents.

NINO LAGHIDZE























# სკიტები



თელავის რაიონში ცნობილი მონასტრის, შუამთის სიახლოვეს, ტყეში ორი მცირე ზომის მონასტერი (სკიტი) მდებარეობს. სკიტი ბერძნულად ცალკე მდგომ მცირე ზომის სამლოცველოს-კელიას ნიშნავს.

ეს ორი ნაგებობა ერთი შეხედვით ტყუპისცალივით გავს ერთმანეთს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ორივე დარბაზული ტიპის ტაძარია მინაშენებით, ერთს სამხრეთით, მეორეს კი ჩრდილოეთით. ორივე მინაშენს სამრეკლო ადგას სახურავზე.

ეს მცირე ზომის მონასტრები 3-4 ბერის საცხოვრებელი ყოფილა, სამლოცველოთი, სამრეკლოთი, სამხრეთით მიშენებული საცხოვრებელით, სამეურნეო ნაგებობებით და გალავნით, რომელიც მთელ ამ მონასტერს გარს უვლიდა.

შენობები ნაგებია ადგილობრივი არქიტექტურისთვის დამახასიათებელი შენების ხასიათით და ტექნიკით. გადახურულია ქართული (კახური) თიხის კრამიტით.

საბედნიეროდ დრომ შემოგვინახა ყველა ის დეტალი თუ ნიუანსი, არქიტექქტურული ფორმები (კამარის, თაღების, ქართული აგურის კარნიზის კვალი, იატაკის ნაშთი და სხვ.) რაზეც დაყრდნობით სავსებით შესაძლებელი გახდა ეკლესიების, მათი პირვანდელი სახით, აღდგენა.

ორივე მონასტერი XVI საუკუნითაა დათარიღებული. ნაგებობები არქიტექტურული სტილით, შენების ტექნიკით, დეტალებით, სრულიად უნიკალურია. ასეთი ტიპის მცირე ზომის მონასტრებს ანალოგი არ მოეძებნებათ.

პროექტის ავტორი:
არქიტექტორ-რესტავრატორი პაატა ნუცუბიძე








# Sketes



There are two small 16th century monasteries – sketes – in the woods near famous Shuamta Monastery in Telavi district ("skete" is a Greek word, meaning small secluded monastery, hermitage).

The two sketes we are referring to seem identical (though this impression disappears after a closer look). Both sketes, capable of housing 3-4 monks each, are darbazi-type churches with extension buildings, belfries, cells, support facilities and enclosure walls.

Fortunately, these typically Kakhetian constructions did not sustain much damage, and the surviving architectural details (vaults, arches, traces of brick ledges, flooring, etc) allowed to fully restore them to their initial look.

Architectural style, construction technique applied, design details and other important factors make these two 16th century sketes unique – there are no other small monasteries of this kind in Georgia.

AUTHOR OF PROJECT:
ARCHITECT, RESTORER PAATA NUTSUBIDZE





# საჩუქარი ბათუმის ახალ ბულვარს













**“ბათუმი არტ”-ის დამფუძნებელთა, გია აბულაძის და გია ჯანბერიძის ინიციატივით და დიზაინერ თენგიზ სეფიაშვილის ქველმოქმედებით 2010 წლის 27 ნოემბერს ბათუმის ახალ ბულვარს საჩუქრად გადაეცა საქართველოში პირველი მექანიკური (ძრავის გარეშე) მობილურ-კინეტიკური სკულპტურული კომპოზიცია “ალმაფრენა”.**

**გია ჯანბერიძე:** თენგიზ სეფიაშვილს აქამდე ყველა იცნობდა როგორც შესანიშნავ არქიტექტორს, გრაფიკოსს, მხატვარ-დიზაინერს, მაგრამ შარშან მისმა პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც დიდუბის საგამოფენო პავილიონში მოეწყო, ვფიქრობ, მისი ყველაზე თავდადებული გულშემატკივრებიც კი გააოცა. ექსპოზიციაში, შესანიშნავ გრაფიკულ და ფერწერულ ნამუშევართა გვერდიგვერდ, მთავარ ყურადღებას იპყრობდა მობილურ-კინეტიკური ქანდაკების კომპოზიციები. სამგანზომილებიან სივრცეში მოხდა გასაოცარი სინთეზი არქიტექტურული და მხატვრულ-დიზაინერული ამოცანების სხვადასხვა კომპოზიციური ხერხებით გადაწყვეტისა, რამაც საინტერესო შედეგი და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. სწორედ ერთ-ერთი მათგანი გახლავთ “ალმაფრენა”.

ბათუმის ახალ ბულვარში დადგმული სკულპტურული კომპოზიცია კარგად პასუხობს იმ განწყობასა და შემართებას, რომლითაც დღითიდღე მშვენიერდება შავი ზღვის სანაპიროს მარგალიტი, რომელიც ჭეშმარიტ ხელოვანთა მუზად იქცა. სინთეზური ხელოვნების ნაწარმოები ასოციაციით ალბათ დაგვაკავშირებს რენესანსის ეპოქასთან, ლეონარდო და ვინჩის საფრენი აპარატების გრაფიკულ ჩანახატებთან, ან მხატვარ-კონსტრუქტორის ვლადიმერ ტატლინის გრაფიკასთან, ამერიკელი მოქანდაკის ალექსანდერ კოლდერის მოძრავ ობიექტებთანაც შეიძლება პარალელის გავლება და ა.შ. მაგრამ საქართველოში ეს პირველი მექანიკური, ძრავის გარეშე მობილურ-კინეტიკური კომპოზიციაა, რომელიც თავისი სითამამით და კარგად მონახული მასშტაბით ორგანულად შეეთვისა ბათუმის ახალი ბულვარის დიდებულ სივრცეს.

პოსტმოდერნისტული ნაწარმოები ალეგორიულად ასახავს მიზანსწრაფვას, ალმაფრენას, ოპტიმიზმს, მომავლისადმი რწმენას. მან დიდი მოწონება დაიმსახურა. ახლა საჭიროებს ღამის ეფექტური განათების მოწყობას, რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავს გახდის კომპოზიციას, რომელიც ბათუმის განსაკუთრებული სიყვარულით არის შექმნილი.

**როჯერ კოლომბიკი** (მოქანდაკე, ტეხასის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი): თენგიზ სეფიაშვილის ახალი ნამუშევარი სრულიად გასაოცარია. მე მინდა მივულოცო მას. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მან შეძლო ასეთ მასშტაბებში გაეკეთებინა ეს პროექტი. ეს ქანდაკება ნამდვილად დიდი შენაძენია ბათუმის საერთაშორისო ხელოვნებისთვის.

ᲤᲝᲢᲝ © ᲘᲣᲠᲘ ᲛᲔᲩᲘᲗᲝᲕᲘ



# Present for New Batumi Boulevard

**On November 27 2010, following the initiative of "Batumi ARt" founders Gia Abuladze and Gia Janberidze and generous support of designer Tengiz Sepiashvili, new Batumi Boulevard received a present – mechanical (with no engine) mobile-kinetic sculptural composition "Inspiration".**

**Gia Janberidze:** Until now everyone knew Tengiz Sepiashvili as a splendid architect, graphic artist and designer, but last year his personal exhibition, arranged in Didube Exhibition Center, surprised everyone, even his most zealous fans. Apart from artistic graphics and paintings, the exposition contained surprising mobile-kinetic compositions. Tengiz Sepiashvili's attempt to solve various architectural and design goals in three-dimensional space yielded a highly interesting result and enjoyed a great deal of public interest. "Inspiration" is one of these sculptures.

The sculptural composition, installed in New Boulevard, efficiently corresponds to the general tendency of development, which so quickly turned Batumi into the source of inspiration for so many artists. By association, this sample of art synthesis reminds of Renaissance – Leonardo's flying machine drawings or Vladimir Tatlin's sketches; another parallel coming to mind is Alexander Calder's mobile sculptures. But whatever the case may be, "Inspiration" is the first mobile kinetic composition, installed in Georgia, and its loose, uninhibited style, organically merges with the magnificent space of New Batumi Boulevard.

This post-modernist composition represents an allegory of commitment, inspiration, optimism, faith in the future. To stand out even more advantageously, the composition requires efficient night lighting.

**Rober Colombik** (sculptor, professor of Texas State University): Tengiz Sepiashvili's work is absolutely fantastic. My congratulations – I am happy that he managed to realize his project at such scale, because this sculpture is an important acquisition for the international art of Batumi.

PHOTO © YURI MECHITOV







# ოსტატობაში პროფესიონალიზმის ხარისხი იგულისხმება

აზერბაიჯანელი არქიტექტორის ნარიმან იმამალიევის შემოქმედებითი სტუდია 2001 წელს დაარსდა. ამ ხნის განმავლობაში სტუდიამ, მაღალი პროფესიონალიზმის გამოვლენით, ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ამის დასტურია ის, რომ იგი, უკვე რამდენიმე წელიწადია აზერბაიჯანის არქიტექტორთა კავშირის მიერ დაწესებული „არქიტექტურული პრემიის“ მფლობელია.

საკუთარი სტუდიის დაარსებამდე ნარიმან იმამალიევი ბაქოს მთავარი არქიტექტორის სახელოსნოში და კომპანია Azersun-ის წამყვან არქიტექტორად მუშაობდა. ამ პერიოდში შეიქმნა მრავალი საცხოვრებელი და საზოგადოებივი შენობის პროექტი, რომელთა უმრავლესობა (კომპანია Azersun-ის სათაო ოფისი, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები და კერძო ინტერიერები ბაქოში და სხვა) განხორციელებულია. გარდა ამისა, ნ. იმამალიევის შემოქმედებითი ფრაგმენტები მრავალგზის იქნა დიპლომირებული და პრემირებული სხვადასხვა საერთაშორისო არქიტექტურულ გამოფენებსა და კონკურსებზე.

მოცემულ ეტაპზე სტუდია მნიშვნელოვანი და მსხვილი პროექტების განსახორციელებლად მუშაობს.

2010 წლის ოქტომბრის მიწურულს, აზერბაიჯანელი კოლეგების მიწვევით, ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი ბაქოში გახლდით. აქ, შესაძლებლობა მოგვეცა უფრო ახლოს გავცნობოდით აზერბაიჯანის წამყვანი არქიტექტორების შემოქმედებას. მეტად საინტერესო და სასიამოვნო იყო ნარიმან იმამალიევის სტუდიაში სტუმრობა. არქიტექტორმა გულითადი მასპინძლობა გაგვიწია და გაგვაცნო მის მიერ შექმნილი. ნანახი, იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ხშირ შემთხვევაში, აღქმულს, ტაშით ვაჯილდოვებდით. მაესტროსთან გამომშვიდობებისას, მან თავისი ნამუშევრების



არაჩვეულებრივი გამოცემა - ალბომი გვაჩუქა. შესაძლებლობა გვეძლევა წარმოგიდგინოთ ბატონი ნარიმანის პროექტებით განხორციელებული ობიექტები. ამჯერად წარმოგიდგენთ ბაქოს ცენტრში, ერთ-ერთი ისტორიული შენობის სივრცეში, ბატონი ნარიმანის პროექტით განხორციელებულ ობიექტს - Deutsche Apotheke-ს.

საზოგადოებრივ სივრცეში მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი კონტრასტულობა ინტერიერში უწონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასში მუდმივად ცვალებადი პროდუქციის არაორდინალურობას, ფერთა სიღრმეს თუ ინტენსიობას.

ოსტატობაში პროფესიონალიზმის ხარისხი იგულისხმება.

ავტორის ძალისხმევით, სივრცეში აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შეიქმნა. ინტერიერის დიზაინი დახვეწილი გემოვნების და შესაბამისი ინტელექტუალური მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.

ნინო ლალიძე
ფოტო © ნარიმან იმამალიევი







# Professionalism implying the level of skill

Architect Nariman Imamaliyev founded his creative studio in 2001. Since that time the studio has remained in the center of public attention due to its high professionalism; for several years already, Nariman Imamaliyev's studio remains the holder of Architectural Award, established by the Union of Architects of Azerbaijan.

Nariman Imamaliyev has a rich professional background, including several years of work in the studio of head architect of Baku and at the position of leading architect of Azersun Company and numerous successful residential and public construction design projects, the majority of which (e.g. headquarters of Azersun, single-family houses and private interiors in Baku, etc.) were realized. Nariman Imamaliyev's designs have been awarded by diplomas and prizes at many architectural exhibitions and competitions.

In the end of October 2010 Azerbaijani colleagues invited our creative group to Baku, where we had an opportunity to take a closer look at the work of Nariman Imamaliyev. Visit to the creative studio of one of the leading Azerbaijani architects was a very interesting one. The architect took pleasure in hosting us and showing us his highly impressive projects.

At the time being, it is my pleasure to describe one of realized projects, designed by Mr. Imamaliyev - Deutsche Apotheke, located in a historical building in downtown Baku.

Unexpected design touches add lightness and comfort to the public space. Stylistic integrity of the interior does not subdue individuality and functionality of constituent parts; on the contrary, their diversity leaves the impression of weightlessness. All elements of the space contribute to the general feeling of freedom. A diverse palette of constructional and decorative details is applied to visually increase the interior and highlight originality of constantly changing clothes collections exhibited on the shelves and racks.

Professionalism implying the level of skill. The author have succeeded in designing a highly comfortable space, standing as a proof to their refined taste and urban thinking.

NINO LAGHIDZE
PHOTO © BY NARIMAN IMAMALIYEV












apotheke



# "ტალღა" ვეილეში

ადგილმდებარეობა: ვეილე, დანია
დამკვეთი: ვეილეს მუნიციპალიტეტი
ჯამური ფართი: 14,000 კვ.მ.
მშენებლობის პერიოდი: 2006-2009 წწ.
პროექტის ტიპი: პირველი პრიზი დახურულ კონკურსში
ავტორი: არქიტექტურული ფირმა Henning Larsen Architects A/S



„ტალღა“ გახლავთ ახალი ექსკლუზიური საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც, თავისი სკულპტურული და ორგანული ფორმების წყალობით, მალე იქცევა ვეილეს ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად. მომგებიანი განლაგების წყალობით, ეს ორიგინალური შენობა, რომელიც ზემოდან გადაჰყურებს პრომენადს და ზღვის ყურეს, წარმოაჩენს გარემოს ღირსებებს და ხაზს უსვამს მათ.

დღის განმავლობაში კომპლექსის თეთრი ტალღოვანი ფორმები ზღვაში ირეკლება, ღამით კი მისი სილუეტი ნაირფრად აციმციმებულ მთას აგონებს მნახველს. შენობა შეიცავს 140 ბინას, რომელთაგანაც მრავალი ორსართულიანია და უკლებლივ ყველა - შესანიშნავი ხედით.

„ტალღის“ იდეა გარემოს თავისებურებებითაა შთაგონებული: ფიორდი, ხიდი, ქალაქი და ბორცვები. კომპლექსის მკაფიო და დასამახსოვრებელი სილუეტი აკავშირებს ადამიანს და ზღვას, ბუნებას და ქალაქს.













# THE WAVE IN VEJLE

*Location: Vejle, Denmark*
*Client: Municpality of Vejle*
*Gross floor area: 14,000 m$^2$*
*Year of construction: 2006 - 2009*
*Type of assignment: First prize in invited competition*
*Author: Architecture Firm - Henning Larsen Architects A/S*



The Wave in Vejle is a new unique housing and with its sculptural and organic forms it will become the new landmark of Vejle. With the magnificent location overlooking the promenade and the bay the characteristic building both respects and challenges the potential of the area.

During the day the white waves are reflected in the sea and at night the characteristic profile will look like illuminated multi-coloured mountains. The building has 140 attractive apartments many with two-story house plans, all with a wonderful view.

The Wave is inspired by the characteristics of the area: the fjord, the bridge, the town and the hills. The clear and easily recognisable signature of the building connects the residential area with the sea, the landscape and the town.















# სკანდინავიური გოლფ-კლუბი

ადგილმდებარეობა: ფარუმი, დანია
დამკვეთი: GB4 Aps
ჯამური ფართი: 2600 კვ.მ.
მშენებლობის პერიოდი: 2007-2010 წწ.
პროექტის ტიპი: კერძო შეკვეთა
სადურგლო სამუშაოები: Jakon A/S
ავტორი: არქიტექტურული ფირმა Henning Larsen Architects A/S

ფარუმის ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, ულამაზეს ბორცვიან ნაკვეთზე განლაგებული გოლფ-კლუბი ბუნებრივი პარკიცაა და 2 ხ 18 ფოსოიანი გოლფის სათამაშო მოედანიც.

ამ პროექტზე მუშაობისას, არქიტექტორებმა განიზრახეს მოეძებნათ საერთო შეხების წერტილები ტრადიციული ამერიკული გოლფ-კლუბის კონცეპციასა და მისგან სრულიად განსხვავებულ სკანდინავიისთვის ტიპიურ ფუნქციონალურ არქიტექტურას შორის. გოლფ-კლუბი ტრადიციული ფლიგელებიანი შენობაა, მაგრამ ის აშენებულია იგივე მასალით, როგორითაც ტრადიციული სკანდინავიური სახლები, და იერითაც სკანდინავიურია. შენობის სახურავი ლამაზად ტივტივებს ხის კენწეროებს შორის და ორგანულად ერწყმის პლატოს ლანდშაფტს.

მასალების სათუთი არჩევანი და მაღალხარისხოვანი შესრულება უნიკალურს ხდის ამ შენობას და უზრუნველყოფს უნიკალურ წონასწორობას არქიტექტურასა და გარშემო ლანდშაფტს შორის. ხის მასალის ფართო გამოყენება, ნორვეგიული ფიქალი, ქვა და ლითონი, და მზის სინათლე, რომელიც უხვად შემოდის შიგნით დიდი ფანჯრებიდან, შენობას სოლიდურ, მაგრამ ამავე დროს ჰაეროვან ელფერს ანიჭებს.

2009 წელს პროექტმა კოპენჰაგენის ხუროთა გილდიის ყოველწლიური პრემია მოიგო.

















# SCANDINAVIAN GOLF CLUB

*Location: Farum, Denmark*
*Client: GB4 Aps*
*Gross floor area: 2,600 m2*
*Year of construction: 2007 - 2010*
*Type of assignment: Commission*
*Carpenters: Jakon A/S*
*Author: Architecture Firm - Henning Larsen Architects A/S*



With its location in the beautiful, hilly landscape of the previous training area of Farum military barracks, the Scandinavian Golf Club comprises an exclusive nature park and golf course of 2 x 18 holes.

The architectural vision has been to bridge the gap between the traditional American golf club and the functional architecture of Scandinavia. The golf club is a traditional wing house but is built in rustic materials with large cantilevers and oblique angles. The roof floats above the plateau as a sculptural element integrated in the hilly landscape, tree crowns and clouds of the sky.

The fine, sophisticated materials and exquisite craftsmanship provide the building with a high degree of exclusivity and ensure a unique balance between the architecture and the surrounding landscape. The extensive use of the wood species Douglas, Norwegian slate, stone and tombac combined with the generous inflow of daylight through the large windows provide the building with a weighty yet light expression.

The project won the annual award of the Copenhagen Carpenters' Guild in 2009.











# 4 PLIUS Architects

დონალდას ტრაინაუსკასი, დარიუს ბალიუკევიჩი, საიმანტას ვაინაუსკასი (წამყვანი არქიტექტორები), ელენა ვაინაუსკასი, აკვილე კეპენიტე, ლევა სალდაუსკაიტე (არქიტექტორები).

2010 წლის 8 ოქტომბერს, თბილისში, საერთაშორისო არქიტექტურის დღეების ფორმატში, კომპანია ვუდ სერვისში გაიმართა ლიტველ არიქიტექტორთა პროექტების გამოფენა. გამოფენის გახსნაზე ქართველ არქიტექტორებთან ერთად მოწვეული იყვნენ ლიტველი არიტექტორები და საელჩოს წარმომადგენლები.

ექსპოზიციაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა, ჩვენი დიდი ხნის მეგობარი კოლეგების - ლიტვური არქიტექტურული ბიუროს - 4 PLIUS Architects-ს არქიტექტორების, ახალი საინტერესო ობიექტები და პროექტები. ამჯერად წარმოგიდგენთ „4+ architects“-ს ორ ობიექტს:

### სახლი ტარანდეში

საცხოვრებელი სახლის მოცულობის დიზაინის კონცეფციას ადგილის თავისებურებები და თანამედროვე არქიტექტურული სტილის ელემენტები დაედო საფუძვლად. თუმცა არსებული არქიტექტურული გარემოს სტილთან მჭიდრო ასოციაციის მიუხედავად, სახლის ულტრათანამედროვე დიზაინი სავსებით მკაფიოდ აღიქმება.

შენობის ქანობიანი გადახურვის გათვალისწინებით, არქიტექტორებმა გადაწყვიტეს სახლის ცენტრალურ ელემენტად ექციათ კიბე და მის თავზე ჭერში გაჭრილი ფანჯარა, რომელიც სინათლით ავსებს მთელ სახლს და ვიზუალურად აკავშირებს ერთმანეთთან ზედა სართულზე მდებარე ზონას და ქვედა სართულზე განლაგებულ მისაღებლებს. გარდა ამისა, კიბის დომინანტური ფუნქცია საინტერესო გავლენას ახდენს საცხოვრებელი სივრცის გეგმარებაზე, რომელიც საკმაოდ შორსაა ჰორიზონტალური განაწილების სტერეოტიპისგან. მთლიანი სივრცის ორგანიზების თავისებურების წყალობით ექსტერიერის დიზაინშიც მოიხსნა ჰორიზონტალური შეზღუდვები და ჩამოყალიბდა ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზების ჰარმონიული ნაზავი ძლიერქანობიანი სახურავის ქვეშ თუ მის გარეთ.

ინტერიერში ფანჯრებიდან ულამაზესი ხედები იშლება; დღისით ეს სივრცე ყოველთვის სინათლითაა სავსე. უხვი ბუნებრივი განათების, თავისუფალი გეგმარების და მაღალხარისხოვანი მოპირკეთების წყალობით ავტორთა ჯგუფმა შენობა პრესტიჟული, კომფორტული საცხოვრებელი სივრცე შექმნა. არქიტექტონიკის ძირითადი ჯგუფების ერთმანეთთან მოხერხებულად დაკავშირებით, არქიტექტურა ორიგინალური კომპოზიციით გამოირჩევა და ერთ მთლიანობაში აღიქმება.








108
105
102
104
103
101
107
106
100
109


110
111





# 4 PLIUS Architects

*Donaldas Trainauskas, Darius Baliukevicius, Skirmantas Varnauskas (principal architects)*
*Elvina Varnauskiene, Akvile Kepenyte, Ieva Saldauskaite (architects)*

On October 8 2010 Tbilisi hosted exhibition of projects by Lithuanian architects titled "Houses LT". The event was organized in the headquarters of Wood Service Company in the framework of the International Days of Architecture. Exhibition launch was attended by Georgian architects as well as their Lithuanian counterparts and representatives of Lithuanian Embassy in Georgia.

Among the most interesting exhibits, there were new realized and unrealized projects by our old friends and colleagues – Lithuanian architectural bureau "4 PLIUS Architects". We would like to describe two of them here.

**HOUSE IN TARANDE**

Design of this house is based on the controversy between the place where it is located and modern architectural style requirements. However, in spite of clashing connection of the style with architectural environment, design of the house is explicitly ultramodern.

Considering steep roofing of the building, the architects, looking for dominant elements, put their stake on the staircase and the window above it, which fills the whole house with sunlight and visually connects the upper and lower levels of the house. Dominant function of the staircase has had an interesting influence on the planning of living space, which is quite far from horizontal allocation stereotype. Such solution of interior planning issue also relieved exterior design from horizontal limitations, and allowed to create a harmonious combination of vertical and horizontal lines under the pointed roof.

Windows of the house offer stunning views; during the day this place is always saturated with sunlight. With the help of ample natural lighting, free planning and high quality trimming, the authors created a fashionable and comfortable residential space. Ingenious combination of architectonic groups adds originality and integrity to design of this building.










206
205
204
203
202
200
207
201





# ძმები მიშკინისების სახელობის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა ქალაქ უტენაში

კონკურსი გაიმართა 2005 წელს
მშენებლობა დასრულდა 2008 წელს
ადგილმდებარეობა: უტენა, ლიტვა
დიზაინერები: დონალდას ტრაინაუსკასი, დარიუს ბალიუჯევიჩიუსი (4 PLIUS Architects)
ფოტოგრაფი: რაიმონდას ურბაკავიჩიოუსი
საკონკურსო ფართი: 3500 კვ.მ.
ორგანიზატორი: უტენას მუნიციპალიტეტი

პროექტმა მიიღო შემდეგი ჯილდოები: ევროკავშირის ჯილდო თანამედროვე არქიტექტურის დარგში, 2009 წლის მის ვან დერ როეს სახელობის პრიზი, ყოველწლიური გამოფენის „AAL 2005“ დიპლომი საზოგადოებრივი შენობის საუკეთესო პროექტის შექმნისთვის.



პროექტის იდეა ძალიან მარტივი და სიმბოლური გახლდათ: წიგნები როგორც ცოდნის, ურთიერთობის და კულტურული ტრადიციის არსი. თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა ყველასთვის ღიაა - სწორედ ამიტომ მივეცით შენობას კუბის ფორმა, რომელიც დღისით გამჭვირვალეა, ღამით კი სინათლეს აფრქვევს. წიგნები თითქოს უხმობენ ადამიანს - „ხელში ამიღე, წამიკითხე“...

ლიტვაში საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა კვლავინდებურად ინარჩუნებს კულტურული ცენტრის და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის დატვირთვას. ძმები მიშკინისების სახელობის ბიბლიოთეკა უტენაში ნამდვილად პასუხობს ამ მოთხოვნას. სრული რეკონსტრუქციის შემდეგ შენობა გაიზარდა, ახლა იგი სამსართულიანია და მისი ფართი 3100 კვადრატულ მეტრს აღწევს; შეცვლილია მთელი ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა. მართალია, გაფართოების მასშტაბები შეზღუდული იყო ბიბლიოთეკის შენობასთან ცენტრალური პარკისა და მცირე საცხოვრებელი ნაგებობების სიახლოვის გამო. ამის გათვალისწინებით, არქიტექტორებს უნდა შეექმნათ თანამედროვე და რაციონალური სტრუქტურის მქონე ნაგებობა საზოგადოებრივ საჭიროებებზე მორგებული სივრცით; შედეგად, მისაღები ოთახისა და საცავის გარდა, ახალი ბიბლიოთეკა ასევე შეიცავს საკონფერენციო ცენტრს, საგამოფენო დარბაზს, საბავშვო და პერიოდული ლიტერატურის სექციებს, მედიათეკას, ინტერნეტთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ სამუშაო ადგილებს და სხვა საჭირო სივრცეებს.



შენობის ფუნქციის ხაზგასასმელად, არქიტექტორებმა ბიბლიოთეკის ფასადი გააფორმეს ჟალუზებით, რომლებიც თაროებზე დაწყობილი წიგნების რითმიკას იმეორებს. შენობის შიგნით, შესასვლელიდან მოყოლებული სივრცე მთელ შენობას მიყვება - კედლების ნაცვლად სივრცე მინის ტიხრებით იყოფა. უზარმაზარი ატრიუმი შემინულ ჭერამდე აღწევს, მზის სხივებით და ჰაერით გაჟღენთილი ეს სივრცე ღია და თავისუფალია. ტრადიციული კიბეების ნაცვლად დამონტაჟებული პანდუსები უზრუნველყოფს ვერტიკალურ კავშირს შენობის დონეებს შორის და უმარტივებს გადაადგილებას უნარშეზღუდულ ადამიანებს და პატარა ბავშვებს. მინის ფონზე შავი მოაჯირებით შემოზღუდული პანდუსები მძლავრ აქცენტად წარმოგვიდგება - შავ-თეთრის ეს უწყვეტი ნაკადი ნაბეჭდთან, წიგნის ტექსტთან ასოცირდება. უფერულ, გამჭვირვალე ინტერიერში მიმობნეული ნარინჯისფერი დეტალები და სანიშნე დაფები ყურადღებას იქცევს, ხალისს და კომფორტს მატებს შენობას. ბიბლიოთეკის ტექნიკური ინფრასტრუქტურა საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისია: სისტემა იმდენად კომპიუტერიზირებულია, რომ წიგნებით სავსე თაროები თითქოს ვირტუალურ განზომილებაშიც გადადის. შენობის შიდა კედლებზე შეგიძლიათ წაიკითხოთ ძმების ანტანას და მოტიეიუს მიშკინისების ლექსები - ბიბლიოთეკა სწორედ ამ ცნობილი ლიტველი კულტურის მოღვაწეების სახელს ატარებს.

ინტერიერის დიზაინის კონცეპციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შენობის კონსტრუქცია. როგორც ინტერიერში, ისე ექსტერიერში უხვადაა გამოყენებული ბუნებრივი მასალები - ბეტონი, ხე, ლითონი და მინა. შენობა რომელიმე კონკრეტული ფუნქციის მატარებელი კი არაა, არამედ გარემოს აქტიური კომპონენტია. ყველა სტილისტური დეტალი ხაზგასმით, თითქოს უკმეხად ლაკონურია. პროექტის განხორციელების პროცესში, სივრცის ხასხასა ფერების წიგნებით გახალისების იდეა თანდათან შეიცვალა უფრო წყნარი და სიღრმისეული შავ-რუხი პალიტრით, რომელსაც წიგნების შინაარსზე და მნახველებზე გადააქვს ყურადღება - ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს წიგნებით სავსე ამ სახლის საზოგადოებრივ დანიშნულებას.







# Public Library of A.& M. Miskiniai in Utena town

Competition date: 2005
Completion date: 2008
Location: Lithuania, Utena
Designer: Donaldas Trainauskas, Darius Baliukevicius (4 PLIUS Architects)
Photographer: Raimondas Urbakavicius
Competition Scale: 3500 sq.m
Organizers: Utena Municipality
Place in a competition: Utena
Award Information: Nominated European Union Prize For Contemporay Architecture „Mies van der Rohe Award 2009, 2005 - Annual Exhibition of AAL Branch, diploma for the best project in the public buildings category.



The idea behind this project was simple and symbolic at the same time: books, the essence of knowledge, communication and cultural tradition. As the function of a public library requires, it is open to everyone – and that is why the shape of a transparent cube, a shining body at night has been chosen. As if books follow the precept of the first Lithuanian book inviting “take me and read me”...

Public libraries remain important cultural centres and spaces of gathering for local communities in smaller towns of Lithuania, and A. and M. Miškinis Public Library in Utena is definitely one of such cases. After complete reconstruction it grew up to become a three-storied building; its area was enlarged up to more than 3100 square meters; the whole technological infrastructure was changed. However the scope of extension was restricted by the proximity of the central park and small-scale residential buildings nearby. The reconstruction assignment was to develop a modern and rational structure of the building with maximum use of space to meet the needs of the community, thus beside exhibition and depository spaces, a conference centre, an exhibition hall, a children literature section, a section for periodicals, the mediatheque, individual working places with access to the Internet and other spaces needed to be accommodated.

As reading is the primary purpose of the building, the architects have designed a sculptural exterior and by surrounding the fa: ade with blinds they have suggested the image and rhythm of books lying on shelves. Inside, the space at the entrance stretches throughout the whole building – there are almost no doors and no but glass walls. The powerful atrium up to glass ceilings is filled with light and air and creates a sense of



openness and freedom. Ramps that have replaced traditional stairs perform the function of a vertical link between six levels of the building and also make it accessible to disabled people and families with small kids. Ramps framed with black railings against the background of glass become a strong detail implying incessant movement while the use of black-and-white reminds the colouring of printed texts. Some details of orange grasp attention in otherwise grey and colourless glass space – beside providing information they also give the feeling of life and cosiness. The library's technical infrastructure meets international standards: the system is computerised and the virtual dimension of the library exits invisibly next to bookshelves. This library being dedicated to prominent Lithuanian cultural figures, brothers Antanas and Motiejus Miškiniai, excerpts from A.Miškinis' poems are to be found on inner walls of the library.

The construction structure of the building itself is an important element in the concept of the interior. The interior, as well as the exterior is united in the use of natural materials: concrete, wood, metal, and glass. The building is not a container of a specific function, but an active component of the environment. All details yield to the theme of laconic and brutally primitive design. While the project was being put into life, the initial idea of colourful books was changed into more quiet and sophisticated palette of grey-black, which permits to focus on books and visitors; this intensifies the idea of the House of Books, which fosters a sense of community.











# აუმ არქიტექტსი

„აუმ არქიტექტს“ არის პროფესიონალთა გუნდი, რომელიც ეწევა საკონსულტაციო მომსახურეობას არქიტექტურის, საინჟინრო სამუშაოების, პროექტ-მენეჯმენტის და ინტერიერის დიზაინის საქმეში. „აუმ არქიტექტსს“ გააჩნია უმდიდრესი გამოცდილება საცხოვრებელი, კომერციული და სამრეწველო პროექტების შემუშავება-განხორციელების საქმეში.

ჩვენ გვჯერა, რომ შეზღუდული რესურსებით შესაძლებელია სრულყოფილად ფუნქციური შენობების და ინტერიერების შექმნა - სწორედ ამით განვსხვავდებით სხვებისგან. ჩვენ ვაღიარებთ ინფორმაციული ტექნოლოგიების ფასეულობას და აქტიურად ვიყენებთ უახლეს ციფრულ ტექნოლოგიებს, პროგრამულ უზრუნველყოფას და ტექნიკას მშენებლობის სფეროში.

## ჩვენი გუნდი

ჩვენს ორგანიზაციას სათავეში უდგანან უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე არქიტექტორები და პროექტ-მენეჯერები, რომლებსაც გააჩნიათ საკონსულტაციო საქმიანობის ვრცელი და მდიდარი გამოცდილება. კომპანიის მუშა ჯგუფი შეკრულია არქიტექტორებისგან, ინჟინრებისგან, მხაზველებისგან, ინტერიერის დიზაინერებისგან და სხვადასხვა სპეციალიზაციის დამხმარე კადრებისგან.

**მანიშ დიკშიტი** (არქიტექტორი) – „აუმ არქიტექტსის“ თანადამფუძნებელი.

მანიშ დიკშიტს, რომელსაც ზურგსუკან არქიტექტურის, ინტერიერის დიზაინისა და საინჟინრო სამუშაოების 6-წლიანი გამოცდილება აქვს, უმუშავია ისეთ კომპანიებთან, როგორიცაა „ჰაფიზ კონტრაქტორი“ და „ნოზერ ვადია“. „აუმ არქიტექტსის“ დაფუძნებამდე, ბატონი დიკშიტი ასრულებდა წინასაპროექტო სამუშაოებს კომერციული და საცხოვრებელი ნაგებობების პროექტებისთვის, მუშაობდა არქიტექტორად „დი-აი-დი კონსალტანტში“. გარდა ზემოთქმულისა, ბატონი დიკშიტი პერიოდულად კითხულობს ლექციებს რაჩნა სანსადის ინტერიერის დიზაინის ინსტიტუტში.

**უმა ანანდ დიკშიტი** (არქიტექტორი) – „აუმ არქიტექტსის“ თანადამფუძნებელი.

**ნაჩიკეტ ბორავაკე** (არქიტექტორი) – „აუმ არქიტექტსის“ ასოცირებული პარტნიორი და მთავარი დიზაინერი.









# AMRI India Pvt. Ltd. ოფისი

ავტორი - მანიშ დიქშიტი

„ელეგანტური სტილი თანამედროვე შტრიხებით“ - ყველაზე მოკლედ, ასე შეიძლება აღვწეროთ მუმბაიში მდებარე ამ საოფისე ინტერიერის დიზაინი. საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანიის „AMRI India Pvt. Ltd.“ ოფისი, რომელიც განლაგებულია მუმბაის ერთ-ერთ საქმიან რაიონში წამოჭიმული მაღალსართულიანი შენობის მე-12 სართულზე, ვრცელი და ღრმად ფილოსოფიურია. მანიშ დიკშიტის მიერ შექმნილი ინტერიერის დიზაინი ცვლის ჩვეულებრივი საოფისე გარემოს ესთეტიკას, მატებს მას ელეგანტურობას და არბილებს საქმიანი სიმკაცრის ატმოსფეროს. „დიზაინის თვალსაზრისით, სრული კარდბლანში მქონდა. ერთადერთი, რაც მომეთხოვებოდა, იყო 60 სამუშაო ადგილის გათვალისწინება და 45-დღიან ვადაში ჩატევა,“ ამბობს მანიშ დიკშიტი. „კომპანიის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, ჩვენ შევქმენით ისეთი ინტერიერი, რომელიც მისი ბრენდის იმიჯს განსაზღვრავდა და დადებით შთაბეჭდილებას მოახდენდა მომსვლელებზე.“

5350 კვადრატული ფუტის ფართობის მქონე ოფისში გამოყოფილია სხვადასხვა ფუნქციური ზონები - მისაღები, კრებების ოთახები, საკონფერენციო დარბაზები, აღმასრულებელი დირექტორისა და მისი თანაშემწეების კაბინეტები, პერსონალის სამუშაო სივრცე, დამხმარე სათავსო და დასასვენებელი ოთახები. ოფისში შესვლისთანავე, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს პრიალა თეთრი კაფელით მოპირკეთებული მისაღების კედლები და შესასვლელის პირდაპირ, მდივნის მაგიდის თავზე მოთავსებული კომპანიის ლოგო, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომპანიის საქმიანობის სფეროს - ფარმაკოლოგიას. ოფისის სხვადასხვა ზონები სხვადასხვანაირ ფერებშია გადაწყვეტილი, მათი დეკორი განსხვავდება იერარქიული პრინციპითაც.

ნებისმიერი ოფისისთვის აუცილებელია დამხმარე სათავსო, საკუჭნაო. ამ დამხმარე სივრცეს მანიშ დიკშიტმა რანგი აუმაღლა და დეკორატიული ფუნქცია მიანიჭა - სათავსოს კედლები ნიშებითაა დამშვენებული.

აღმასრულებელი დირექტორის კაბინეტში დგას სამუშაო მაგიდა (რომელიც საკმაოდ შორსაა სტანდარტულისგან) და კრებებისთვის განკუთვნილი მინისთავიანი მაგიდა. კედლებში დატანილი წრიული ღიობები ალამაზებს ამ ჩაკეტილ სივრცეს. დირექტორის თანაშემწის კაბინეტის შექმნისას, მთავარი პრინციპი განმარტოება და სიმყუდროვე გახლდათ. ამის გათვალისწინებით, არქიტექტორმა გამოყო საკმაოდ დიდი სივრცე ნახევრად ოფიციალური სამუშაო შეხვედრებისთვის. ამ ოთახის ყველაზე მიმზიდველი კომპონენტია შესანიშნავი პანორამა, რომელიც უდაოდ ეხმარება კაბინეტის პატრონს განტვირთვაში. ორივე კაბინეტის დიზაინის მნიშვნელოვანი ელემენტია ხის ლამინატის იატაკი და ღია ფერის კედლები.

ოფისში ასევე მოწყობილია VIP-მოსაცდელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კლიენტებისთვის და დასასვენებელი ზონა თანამშრომლებისთვის, სადაც სუფევს წყნარი, დამამშვიდებელი ფერები. „ამ ოფისიდან ისეთი ლამაზი ხედები იშლება, რომ გადავწყვიტე მაქსიმალურად შემენარჩუნებინა სივრცის გახსნილობა და ვეცადე არ დამებრკოლებინა სხვადასხვა კუთხეებიდან გახსნილი პერსპექტივების ხილვადობა. ოფისის ზომას ხაზი გავუსვი „სტრატეგიულ“ ადგილებში მცენარეების ჩადგმით,“ - ამბობს მანიში.





# Aum Architects

Aum Architects is a team of dedicated professionals engaged in consultancy services in the field of Architectural, Civil, Project Management and Interior Designing, with a wealth of project and development experience covering residential, commercial and industrial projects.

What sets us apart is that we believe in optimizing limited resources to design buildings and interiors that are functional. We recognise the value of information technology by amalgamating the latest digital technologies available with other relevant software and hardware tools in order to meet the challenges and demands of the construction industry in the current environment.

**OUR TEAM**

At the helm of our organisation, there are highly qualified Architects and Project Managers possessing vast and vivid experience in the field of consultancy. The organisation is backed up by Architects, Engineers, Draftsmen, Interior Architects in Mumbai, along with a dedicated supporting staff having qualifications in various fields.

**Manish R Dikshit** (B. Arch) Partner, Aum Architects.

With over 6 years experience in designing and consultancy in Architecture, Interior and Civil Work, Manish Dikshit embarked on his career by working with renowned architects such as Hafeez Contractor and Nozer Wadia. Throughout his career Mr. Dikshit, an Interior Architect in Mumbai, has been involved in the preliminary design for various projects both commercial and residential and even worked as an architect with D.I.D Consultants before establishing Aum Architects. Mr. Dikshit is also a guest lecturer at the Rachna Sansad Institute of Interior Design.

**Uma Anand Dikshit** (B. Arch) Partner, Aum Architects.

**Nachiket Borawake** (B.Arch) Design Head and Associate – Aum Architects.

# The office of AMRI India Pvt.

*Author Manish Dikshit*

‘E legant with a touch of thecontemporary’ describes this Mumbai-based corporate office. Located in the 12th floor of Corporate Park in thecentral suburbs, the office of AMRI India Pvt. Ltd., a multi-national pharmaceutical company, looks spacious and sophisticated. Designed by Manish Dikshit, the interiors redefine the environment of a pharmaceutical company, making it look elegant rather than straight-laced. “I was given a free hand in terms of design. The only requirement was to accommodate a staff of 60 and design the entire office within a time frame of 45 days,” says Manish Dikshit. “Keeping in mind their core business, the idea was to create a brand image that has an impact on the visitors.”

The 5,350 sq. ft. office is divided into different areas — reception, meeting rooms, conference rooms, MD’s cabin, visiting director’s cabin, CEO’s cabin, staff area, pantry and the rest rooms. As you enter the office, the reception area dressed in white vitrified tiles captures your attention with the logo above the desk underscoring their profile as a pharmaceutical company. Each area is different from the other in terms of its decor, considering the hierarchy.

Manish has given different cubicles in the staff area for each department like marketing, sales and accounts. Natural tones and a purple carpet mark the staff area giving it a natural look. The peripheral passage finds





circular punctures adding interest to an otherwise dead wooden panel.

The most basic and important need of every office is the storage area. Here, Manish has tried to use it as a design element rather than just for utility. Niches are created to enhance the beauty of the wall.

The MD's cabin has a work table (though not your regular one!) along with another glass-top table for private meetings inside the cabin itself. Circular elements are created on wall panels for aesthetic appeal within this enclosed space. Moving ahead to the CEO's cabin, "Privacy was the basic criteria here," shares the architect and has provided enough space for an informal seating zone. The most attractive part of this room is the beautiful scenic view from the workstation that helps to de-stress during hectic working hours. Due to the irregular beam running through the ceiling, indirect lights are provided in the false ceiling for both the cabins. Laminated wooden flooring with off-white textured walls is an important design element in both these cabins.

Apart from this, the office also has an executive waiting lounge for their important clients. The pantry has subtle colours to give a break to the employees and allow them to chill. "As the office had a beautiful outside view, my main idea was to achieve maximum openings without hiding any of the views from different angles. Also, I have used planters in various places to highlight and show the office expanse," explains Manish.

With swanky interiors like this, no longer will an employee complain of a boring office ambiance, and what more — work will definitely become worship!








# ექსპოზიცია
# VA BENE

VA BENE - იტალიური ფეხსაცმლის ბრენდების მაღაზია მდებარეობს თბილისის ცენტრში, ვაჟა ფშაველას გამზირზე. ინტერიერი Designbureau-ს (დიზაინერები: ნია მგალობლიშვილი, ია ლიპარტელიანი, სოფიო შევარდნაძე) პროექტით შესრულდა. სალონში დეკორატიული თაროები ისეა განთავსებული, რომ მათზე წარმოჩენილი მთელი „ექსპოზიცია“ - ულამაზესი კოლექციები თუ აქსესუარები, შემოსვლისთანავე სრულად აღიქმება. ღია ფერის დეკორით აქცენტირებული კედლები თბილ ტონებშია გადაწყვეტილი. აქ მრავალი სხვადასხვა საინტერესო სიბრტყეა, უჩვეულო მოცულობითი ფორმებია. შედეგი - წარმატებულად გადაწყვეტილი ინტერიერია, რომლის საიდუმლო მდგომარეობს შემდეგში - სივრცე პროვოცირებას უწევს სალონის ყველა სტუმარს, ბოლომდე „გაიაროს“ და აღიქვას მთელი ბუტიკი.

ნინო ლალიძე
ფოტო: ირაკლი ბლუიშვილი

# Va Bene Exposition

Interior of Italian footwear shop Va Bene, located in Vaja-Pshavela Avenue (downtown Tbilisi), was created by Designbureau – designers Nia Mgaloblishvili, Ia Liparteliani and Sophio Shevardnadze.

The salon is decorated with shelves, on which the customers can the whole exposition of beautiful footwear and accessories at its best. Warm-colored walls are decorated with light-colored accessories; the space contains a wide variety of unusual surfaces and interesting shapes. The result is an interior with successful design solution and a spark of individuality, which provokes the customers to linger in the boutique and take pleasure in looking at its goods.

NINO LAGHIDZE
PHOTO: IRAKLI BLUISHVILI





# ბალდუჩი

პროექტის ავტორი Designbureau
დიზაინერები: ნია მგალობლიშვილი, ია ლიპარტელიანი, სოფიო შევარდნაძე




BALDUCI-ს ახალ, პატარა გალერეაში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი) დიზაინერებმა სივრცობრივი პლასტიკის ხერხი გამოიყენეს: თაროები, პანელები, ღია კარადები, ულამაზესი გასანათებლები ერთ, მრავალფეროვან „სკულპტურულ“ კომპოზიციადაა შერწყმული. ცენტრალური და მეორეხარისხოვანი ზონა აქ არ არის: პირველ რიგში, იმიტომ რომ სივრცე არავრცელია, და კიდევ იმიტომ, რომ ამას, დეკორის არქიტექტურული კონსტრუქცია განაპირობებს. ორიგინალურ თაროებს იტალიური ბრენდების - 14 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის აუცილებელი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, აქსესუარები და სხვადასხვა სახეობის სასაჩუქრე ნივთები „აცვიათ“ და „უჭირავთ“. გალერეაში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს სალონის ვიტრინა, სადაც ფერი, ფორმები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით წარმოქმნილი არაორდინალურობა, ყოველ მოცემულ შემთხვევაში, მოულოდნელ რაკურსებს ქმნის.

ნინო ლალიძე

ფოტო: ირაკლი ბლუიშვილი





# Balduci









*Project author: Designbureau*
*Designers: Nia Mgaloblishvili, Ia Liparteliani, Sofio Shevardnadze*

New Balduci gallery, recently launched in Vaja-Pshavela Avenue, Tbilisi, is designed using the approach of space flexibility: shelves, panels, showcases and light fixtures are merged in one diverse “sculptural” composition. There are no central and auxiliary zones: firstly because the shop is very moderately sized, and secondly because of an original architectural design structure. The shelves actually “wear” chidlren’s clothes and shoes and “hold” presents and toys. The first thing to catch your eye when you enter the gallery is the exclusive showcase with array colors, accessories, proportions and mobile graphics, highlighting the spirit of unexpectedness, which will accompany you all during your visit to this shop.

NINO LAGHIDZE
PHOTO: IRAKLI BLUISHVILI



# აპრიორი

იდეა, როგორ უნდა შექმნილიყო „გია გვარამიის კლინიკის“, სხვა ანალოგიური სალონებისგან განსხვავებული, კიდევ ერთი ახალი ინტერიერი თბილისში, აბაშიძეს ქუჩაზე, არქიტექტორ ალეკო კორკოტაშვილს ეკუთვნის. სალონის არქიტექტონიკაში ფერისა და მასალის ორიგინალური შერწყმა ინტერიერის კრეატიულობას განსაზღვრავს. ავტორი მინიმალიზმში განავრცობს სივრცის დიზაინს, რაც უფრო მეტად კონცეპტუალურ გადაწყვეტას გამოხატავს, ვიდრე სტილს. თუმცა, არა ეს სტილი „აპრიორია“ - ფუნქციონალური მინიმალიზმი, ქალის სახით.

ნინო ლალიძე





# A Priori



The idea of creating a new branch of Gia Gvaramia Clinic with the interior totally different from all other salons belongs to architect Aleko Korkotashvili. Interior of the new salon, recently launched in Abashidze Street, boasts an original and creative design solution, based on unusual combination of colors and textures. Having chosen minimalism as the underlying principle of his design, the author expanded his idea on the conceptual, rather than stylistic, plane. However stylistic direction is implied a priori – this is functional minimalism, incarnated by woman.

NINO LAGHIDZE







# ახალი საძმო

თბილისში, ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში - საბურთალოზე, ახალი კაფე-ბარი Paulaner Brotherhood გაიხსნა.

დიზაინის პროექტის ავტორია, არქიტექტორი დიმიტრი თოფურიძე. ინტერიერული ექსპოზიციისთვის ეფექტური გეგმარებით, შთამბეჭდავი გარემო შეიქმნა, რომელიც open space-ს შეგრძნებას ბადებს.

ძველი ხის და ქვის ფაქტურა, რბილი ტონები, საინტერესო ფორმები და შუქ-ჩრდილები, საერთო სტილისტურ გადაწყვეტასთან შესაბამისი ფურნიტურა, გემოვნებით შერჩეული ტექსტილი, ძველებური ნივთები და ექსკლუზიური აქსესუარები უზადო გარემოს ქმნის. ახლადწარმოქმნილ, მოცულობა არაორდინალურადაა გადაწყვეტილი, სიმყუდროვე და კომფორტი ყველგან ზედმიწევნით ფიგურირებს.









# New Brotherhood

New café-bar "Paulaner Brotherhood" was recently opened in Saburtalo, of the central districts of Tbilisi.

Architect Dimitri Topuridze efficiently planned interior of the bar in order to highlight an impressively large design exposition and retain the impression of open space. Exclusive accessories, created for the new exposition, fill the space, adding modern touches and increasing the feeling of comfort.

Neat, interesting and stylish – this is the shortest way to describe Paulaner Brotherhood. Interior design conception is a truly original one. Scrappy accessories and furniture seem to have been put in this wood-and-stone place by mistake, but this only makes them more pleasant and comfortable. The designer achieved an ideal combination, highlighting the Bohemian atmosphere of the new bar.

NINO LAGHIDZE







# Beauty Centre Crystal



საბურთალოს ქუჩაზე ახალი სილამაზის მრავალფუნქციური სალონი Beauty Centre Crystal გაიხსნა. ინტერიეის ავტორია დიზაინერი სალომე ჩახუნაშვილი (იგი, ამჟამად კომპანია „მაგისტილში" მუშაობს).

Beauty Centre Crystal-ს საზოგადოებრივი სივრცის თანამედროვე გარემო განსაკუთრებული, გამომხატველობით გამოირჩევა და არაორდინალურად ტრანსფორმირდება რეალობაში. მთლიანი სივრცე შესაბამის კომფორტულ ზონებადაა დაყოფილი - რესეპშენი, მოსაცდელი, ბარი, მყუდრო კაბინეტები...

სივრცის დახვეწილი არქიტექტონიკა, ლამაზი ფურნიტურითა და ფრაგმენტებით შექმნილი ცალკეული მონაკვეთი განსაკუთრებულად მომხიბვლელია. აქ, ყოველივე მრავალმხრივია და მოაზრებულ, კონკრეტულ მატერიადაა გარდაქმნილი. დეტალები, დიზაინში მთლიანობის გამომხატველობითი ხასიათის განმსაზღვრელი ხდება. საინტერესო მოცულობითი ბარიერებით შექმნილი მსუბუქი შავ-თეთრი ფერითი გამა დეკორატიული აქსესუარების, ფურნიტურის წყნარი ტონებითაა აქცენტირებული. აქ განტვირთვისთვის და გასალამაზებლად მშვიდი გარემოა შექმნილი.

Beauty Centre Crystal არის თქვენი გზა სილამაზისა და მუდმივი ახალგაზრდობისაკენ. სალონი გთავაზობთ მომსახურეობების სრულ პაკეტს.

სასიამოვნო გარემოსთან ერთად თქვენს გარეგნობაზე იზრუნებენ კვალიფიცური, უცხოეთში სტაჟირებული, გამოცდილი სპეციალისტები.

ნინო ლალიძე





















# Beauty Centre Crystal

New multi-functional Beauty Centre Crystal was recently opened in Saburtalo Street.

Interior of this Beauty Centre has been designed by Salome Chakhunashvili (currently employed in Magi Style).

Public space of the Beauty Centre boasts a special, modern and exclusive atmosphere, transforming the reality in a unique way. The interior is divided into several functional zones – reception, lobby, bar, small cozy parlors… Refined architectonics, fashionable furniture, subtle design touches and tasteful matching of black-and-white background with subdued color accents make this interior expressive, charming and diverse in spite of its functionality.

Beauty Centre Crystal is indeed a place where a woman can relax and nurture her good looks. The salon provides a diverse range of services, performed by highly qualified specialists with international experience.

NINO LAGHIDZE







# თავლა

თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში, რესტორანი „თავლა“ გაიხსნა.

ინტერიერის ავტორები არქიტექტორები შალვა ჯაფარიძე, ზაზა იაშვილი და ლევან ჩხაიძე არიან. არსებული არასახარბიელო პროპორციების შეცვლა ავტორებმა საკუთარი პროფესიული ინტუიციის, არსებულ პირობებთან ადაპტირებით შეძლეს. ინტერიერის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გადაწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით, მოცულობით-პლასტიკური გადაწყვეტებითაა მიღწეული. ყოველივე ეს „თავლის“ ინტერიერს განუმეორებელ კოლორიტს სძენს.

„თავლა“ გვხიბლავს ტრადიციული და თანამედროვე სტილის შერწყმით. მისი გარემო, საგანგებოდ შერჩეული აქსესუარები რესტორნის ისედაც კოლორიტულ ატმოსფეროს კიდევ უფრო მიმზიდველსა და მყუდროს ხდის.

მიუხედავად სტილისტიკური მთლიანობისა, სივრცის ყოველი მონაკვეთის ინდივიდუალურობა შენარჩუნებულია. დეკორის ფერისა და ფაქტურის მონაცვლეობა, მათზე მხედველობის კონცენტრირებას ახდენს. ხელოვნური განათების სხვადასხვა ინტენსივობა კი ხაზს უსვამს ფორმისა და ფერის სიღრმეს.

ნინო ლალიძე











# Tavla

Not long ago Restaurant Tavla was opened in Tbilisi. Authors of this project are architects Shalva Japaridze, Zaza Iashvili, Levan Chkhaidze.

While designing the interior of Tavla Restaurant, the authors skillfully adapted initial uncomfortable proportions of the space to the new requirements. Impression of integrity in this interior is achieved due to a holistic compositional and volumetric solution, subtle zone-to-zone décor transitions and ingenious variation of colors. Tavla charms us with the unique mixture of traditional and modern styles, which makes characteristic atmosphere of the place still more attractive and comfortable.

In spite of stylistic integrity, any section of this interior retains its individuality. Changeability of textures and colors helps focus attention on particular dominant points, and varying intensity of artificial lighting highlights the depth of colors and forms.

NINO LAGHIDZE









# „დიდი” იდეა



რაც უფრო რთულია ამოცანა, მით უფრო საინტერესოა მისი გადაწყვეტა და სასიამოვნო - შედეგი. საცხოვრებელ სივრცის ინტერიერზე მუშაობისას არქიტექტორ ალეკო კორკოტაშვილის წინაშე იდგა ამოცანა - მოცემულ ართუ ისე ვრცელ გარემოში, სრულფასოვანი ფუნქციონალური ზონებით დატვირთული „დიდი“ ბინის კონცეპცია განევითარებინა.

„მოცულობა მოცულობაში“ - ასეთია ინტერიერის არქიტექტურული „ფოკუსის“ პრინციპი. პროექტის ესთეტიკური ღირებულება საცხოვრებლის დიზაინის არაორდინალურობაში მდგომარეობს. ინტერიერი თავიდანვე იქმნებოდა, როგორც კომფორტული, თანამედროვე და დამოუკიდებელი სივრცე. აქ იდენტური ეფექტითაა შესაძლებელი დასვენება თუ აქტიური ყოველდღიურობით ცხოვრება. ინტერიერში თითოეულ ნიუანსს ის ადგილი აქვს მიჩენილი, საიდანაც იგი საუკეთესო სახით აღიქმება. ფორმასთან, ფაქტურასთან, ფერთან დამოკიდებულება, არქიტექტორის შემოქმედებით პრინციპებს გამოავლენს. მთლიანობაში, კი ორიგინალური და საინტერესო მიგნებები ერთ ამოცანას ემსახურება - შეიქმნას საცხოვრებელი გარემო - მშვიდი, ესთეტიკური ყოფისა და მაღალი კომფორტის გარანტი - კონკრეტული ოჯახისათვის.

ნინო ლაღიძე













# Full Value

The more complex and challenging the task is, the more interesting it is to look for a solution, the more pleasant – to contemplate achieved results. Aleko Korkotashvili's goal in creation of this residential interior was to develop this moderately sized space along the same lines as a full-fledged apartment equipped with all relevant functional zones.

"Volume inside volume" – this is the architectural "trick" applied in this interior. Esthetic value of the project lies in originality of the design. From the very beginning, the interior was developed as a comfortable, modern and self-sufficient residential space easily satisfying the requirements of relaxation as well as active everyday life. Each detail of the interior is placed so as to stand out at its full advantage. Careful approach to forms, textures and colors highlights the architect's creative principles. In fact, all the original and interesting solutions applied in creation of this interior serve to achieve one goal – to provide a high-quality comfortable residential space, tailored to the needs of a specific family.

NINO LAGHIDZE












# კომპანიათა ჯგუფი "აკორდი" - ხარისხის ახალი ნიშანი



კომპანიათა ჯგუფი "აკორდი", რომელიც გახლავთ აზერბაიჯანის სამშენებლო მრეწველობის ერთ-ერთი ლიდერი, 2005 წელს დაარსდა. აზერბაიჯანის სანავთობო სექტორის განვითარებაში თავისი წვლილის შეტანით, "აკორდმა" შექმნა ახალი სტანდარტები მშენებლობის დარგში.

დროის მოკლე მონაკვეთში კომპანიამ მოიპოვა წამყვანი პოზიცია საცხოვრებელი ფართის მშენებლობა-რეალიზაციაში, საზოგადოებრივი შენობების შექმნაში, სამშენებლო მასალების წარმოება-დამუშავებაში. კომპანიათა ჯგუფი "აკორდი", რომელიც წარმატებით ამარაგებს მასალებით ქვეყნის მზარდ სამშენებლო სექტორს, შეუცვლელია აზერბაიჯანის ეკონომიკურ განვითარების საქმეში.

"აკორდი" ერთადერთი აზერბაიჯანული კომპანიაა, რომელმაც აღიარა და თავის საქმიანობაში პროექტების მართვის საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტები.

ქვეყანაში მშენებარე საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების ხარისხის გარანტიისა და პროფესიული კონსულტაციების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კომპანიათა ჯგუფმა "აკორდმა" გააფორმა შეთანხმებები ევროპის წამყვან სამშენებლო კომპანიებთან.

მატერიალური და ინტელექტუალური განვითარების საქმეში მიზანმიმართული ინვესტირებით, კომპანიათა ჯგუფი "აკორდი" ხელს უწყობს აზერბაიჯანის მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, საზოგადოების დაბალშემოსავლიანი ფენებისა და ახალგაზრდა ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლებას.

თავისი საქმიანობის საფუძვლად კომპანიათა ჯგუფი "აკორდი" ისახავს კონცეფციას "ყველაფერი ადამიანისთვის". ეს გაერთიანება არათუ უზრუნველყოფს ხალხს კომფორტული, უსაფრთხო და ხარისხიანი საცხოვრებელი ბინებით, არამედ ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. კომპანიათან ჯგუფი "აკორდი" მკაცრად იცავს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კოდექსს და მაქსიმალურად ზრუნავს მუშაკთა ჯანმრთელობაზე.

კომპანიათა ჯგუფი "აკორდი" მოწადინებულია დატოვოს თავისი კვალი თანამედროვე მშენებლობის ისტორიაში, მონაწილეობა მიიღოს მსხვილ რეგიონალურ პროექტებში და დაიმკვიდროს მაღალი ავტორიტეტი კავკასიისა და ევრაზიის სამშენებლო სექტორში.

2005 წელს დაფუძნებული კომპანიათა ჯგუფი „აკორდი" თავისი საქმიანობის საზღვრებს აფართოებს. გარდაგის რაიონში გაიხსნა „აკორდის" საწარმოო სპექტრის ახალი კომპონენტი - ქარხანა „აკორდ გრანიტი". დროის საკმაოდ მოკლე მონაკვეთში ქარხნის ტერიტორიის ფართობმა 80000 კვ.მ.-ს მიაღწია. ქარხნის ახლად აშენებულ და რეკონსტრუირებულ ნაგებობებში, რომლებიც აღჭურვილია უახლესი თურქული და იტალიური დანადგარებით, ხდება მაღალხარისხოვანი მარმარილოს და გრანიტის ფილების დამზადება.

დღესდღეობით ქარხანა „აკორდ გრანიტი" ამუშავებს ადგილობრივი ქვის ორ საბადოს აზერბაიჯანში, შემოაქვს კრემისფერი მარმარილო თურქეთიდან და გრანიტი უკრაინიდან.

ევროსტანდარტების შესაბამისად, ადმინსიტრაციული და საწარმოო სივრცეების გარდა, ქარხანაში მოწყობილია ვრცელი საექსპოზიციო კომპლექსი, რომლის საზეიმო გახსნას 2010 წლის 27 ოქტომბერს ესწრებოდნენ ქვეყნის წამყვანი სამშენებლო კომპანიების წარმომადგენელი სპეციალისტები, ცნობილი არქიტექტორები და დიზაინერები.




**HEAD OFFICE**
**Address: 20, H.Javid Avenue, 520th estate, Yasamal district, Baku city, AZ1073**
**Tel: +99412 510 57 20; +99412 564 06 11**
**http://www.akkord.az Email: akkord@akkord.az**
















# Akkord Group of Companies – A New Quality Mark



Being one of leaders in civil engineering sector of Azerbaijan, Akkord Group of Companies has been established in 2005.

The meaningful decrees signed by President Ilham Aliyev have brought an impetus to the idea of creating this Group. These are two Presidential documents: the Decree on Measures to speed up Social and Economic Development in the Republic of Azerbaijan dated 24 November 2003 and the Decree on Approval of the State Program on Social and Economic Development of the Regions of the Republic of Azerbaijan (for the years 2004 - 2008) dated 11 February 2004. These decrees of the President have created new possibilities for skillful business community and became a new stage in the development of national entrepreneurship. Bringing its contribution to the development of non-oil sector of Azerbaijan, Akkord Group of Companies has succeeded in setting up new standards in the construction sector. During short period of time, the Group has turned out into the leader company in the field of construction and commercialization of living mansions, other buildings for public use, construction materials production and processing. Alongside by construction of living mansions, Akkord Group of Companies which played a crucial role in the development of Azerbaijani economy, has gained great results in meeting the needs of dynamically growing construction sector of the country in construction materials.

Akkord Group of Companies is the only company in the country which has accepted the Standards of International Project Management Association. It has obtained the Conformity Certificate for ISO 9001-2008 standard from SGS Company which certifies systems and services. This Certificate ensures the conformity of concrete and brick production, bridge construction, projecting and construction of living mansions to international civil engineering standards.

Currently, Akkord Group of Companies has signed the contract with Austrian leading construction company to conduct professional consultations for construction quality of highways, bridges and tunnels as well as the process of production and civil engineering.



As one of the civil engineering leaders of Azerbaijan, Akkord Group of Companies has the main advantage to use Primavera P6 application in its latest version in the construction process. This application gives possibilities to realize construction processes and programs at the highest level.

Making financial and intellectual investments in its development, Akkord Group of Companies is able to speed up the process of ensuring high quality living mansions to Azerbaijani citizens with reasonable prices and commercial terms. It supports vulnerable strata of population and young families in improving their lifestyle.

Being a leader in construction sector and having up to 3500 employees, Akkord Group of Companies relies upon its main philosophy: "everything for people". The Group is not just ensuring strongly built living mansions for citizens, but creates also safe job places. Akkord Group of Companies pursues the policy of zero losses in its construction processes. During this process, the Group adheres to the fulfillment of HSE Code by controlling safety of any employee to ensure maximum protection from accidents.

Akkord Group of Companies has chosen to way to make its contribution to the modern construction history of Azerbaijan participate in important regional projects and become popular in Caucasian and Eurasian civil engineering markets.



Akkord Group of Companies is at the service of those wishing to make Azerbaijan invincible.

Group of companies "Accord", founded in 2005, gradually expands the range of its activities. Recently the group launched "Accord Granite" plant in Gardagi Region of Azerbaijan. In a rather short period of time the area of the plant reached 80000 sq. m. Newly-built and reconstructed industrial spaces of "Accord Granite", equipped with advanced Turkish and Italian machinery, produce high quality marble and granite slabs.

At the time being, "Accord Granite" uses two local stone quarries in Azerbaijan and imports beige marble from Turkey and granite from Ukraine.

In accordance with international standards, the plant is provided with a spacious exposition complex, opening of which was attended by representatives of leading construction industries of Azerbaijan, famous architects and designers On October 27 2010.

**HEAD OFFICE**

Address: 20, H.Javid Avenue, 520th estate, Yasamal district, Baku city, AZ1073

Tel: +99412 510 57 20; +99412 564 06 11

http://www.akkord.az Email: akkord@akkord.az












ახალი ამბები
NEWS

# შავი ზღვის სანაპირო და ურბანული დაგეგმარება



მასტერ-კლასის სარეკლამო აფიშა
MASTER CLASS ADVERTISING POSTER



მატერ-კლასის მონაწილეები და მხარდამჭერები
MASTER CLASS PARTICIPANTS AND SUPPORTERS

საქართველოს შავიზღვისპირეთის განვითარების პერსპექტივები სულ უფრო მეტად იპყრობს საერთაშორისო ექსპერტების ყურადღებას. მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები, რომლებიც მზარდი ხასიათით გამოირჩევიან, თანდათანობით ერთ საერთო მცნებაში ითხოვენ ინტეგრაციას. ეს მცნება წარმოადგენს ურბანული განვითარების კონცეფციას.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა პოლიტიკური ნების, არსებული ინტელექტუალური რესურსის და საერთაშორისო გამოცდილების მჭიდროდ დაკავშირება. მხოლოდ ამგვარი მიდგომით გახდება შესაძლებელი შავი ზღვის სანაპირო ზოლის და მიმდებარე ტერიტორიების ურბანული დაგეგმარების პროგრამის განხორციელება, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანი იქნება როგორც საქმიანი წრეების ხელშეწყობისთვის, ასევე ეკოლოგიური ბალანსის აღდგენა-შენარჩუნებების, სოციალურ-კულტურულ-საგანმანათლებლო, სარეკრეაციო და სხვა სფეროების განვითარებისთვის.


ინდუსტრიული და ტურისტული დერეფნები
INDUSTRIAL AND TOURIST CORRIDORS


ახალი საქმიანი ზონა და ბიზნეს-პორტი ფოთში. ერსპექტივა
NEW BUSINESS ZONE AND BUSINESS-PORT IN POTI. PERSPECTIVE

პირველ მცდელობას ამ მიმართულებით წარმოადგენდა 2010 წლის 18-27 ნოემბერს აჭარაში შესრულებული კონცეპტუალური პროექტი, სახელწოდებით: "შავი ზღვის სანაპიროს ურბანული განვითარების 2010 წლის მასტერ-კლასი." მასტერ-კლასი ჩაატარა ჰოლანდიის ქ.ტილბურგის ურბანიზმისა და არქიტექტურის აკადემიის Fontys ევროპულმა ურბანისუტულმა დიზაინ-ლაბორატორიამ Stadslab European Urban Design Laboratory.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: ნიდერლანდებში საქართველოს ფონდი/ქართული დიასპორა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირი. იდეის მხარდამჭერები და თანაშემსრულებლები: ჰოლანდიაში – ურბანული განვითარების საერთაშორისო ასოციაცია INTA, არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარების საერთაშორისო ფირმა KCAF, სახურავების განათების ერთ-ერთი ლიდერი საწარმო მსოფლიო ბაზარზე FAKRO. საქართველოში – ქობულეთის სასტუმრო Georgia Palace Hotel (განთავსება); ბათუმის, ფოთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტები; ფოთის პორტი, ფოთის არასამთავრობო ორგანიზაცია NINA (საინფორმაციო-ტექნიკური მხარდაჭერა); ამერიკული კომპანია ფოთში SJS Poti (სატრანსპორტო-ტექნიკური მხარდაჭერა); Geografik (დიგიტალური რუკები).

მასტერ-კლასი მიზნად ისახავდა შავიზღვისპირეთის ორი უმნიშვნელოვანესი – ინდუსტრიული და ტურისტული დერეფნის სტრატეგიული განვითარების კონცეფციის დამუშავებას, მთავარი საპორტო ქალაქების – ფოთის და ბათუმის ტრანსფორმაციით ამ დერეფნების ერთიან ურბანულ სივრცეში.

ჰოლანდიელი, ქართველი, სერბი, რუმინელი, პოლონელი, არქიტექტორებისა და დამგეგმარებლებისგან შემდგარი ინტერნაციონალუ-


ფოთის ურბანული განვითარების კონცეფცია
URBAN DEVELOPMENT CONCEPTION OF POTI



სარეკრეაციო ზონა ფოთში, შუქურას რაიონში
RECREATIONAL ZONE IN POTI IN SHUKURA DISTRICT

რი გუნდი ერთობლივად ამუშავებდა წინასაპროექტო ურბანისტულ-დიზაინერულ პროგრამას მომავალი მასშტაბური პროექტებისთვის. განხილული და დამუშავებული თემები მაქსიმალურად მისადაგებული იყო რეგიონის აქტუალურ საკითხებთან, როგორებიცაა: ფოთი-ბათუმის დამაკავშირებელი ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; ბათუმის, ფოთის, ქობულეთის ქალაქგეგმარებითი სივრცეების გააზრება მთლიანად ზღვისპირა ზოლის ერთიანი ურბანული დაგეგმარების კონტექსტში; ლანდშაფტური რესურსების ოპტიმალური გამოყენება და სხვ.



ქობულეთი. სანაპირო ზოლის ახალი ტრანსპორტი-ტრამვაი
QOBULETI. NEW COASTLINE TRANSPORTATION-TRAMWAY

პროექტის გლობალურ მიზანს წარმოადგენს: სტრატეგიული დერეფნების პოზიციონირება და წარდგენა მსოფლიოსთვის, რათა ხელი შეეწყოს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას, მასშტაბური ინვესტიციების მოზიდვას, ტურისტული სექტორის გაძლიერებას, მეურნეობის ახალი სეგმენტების წამოწევას და ზოგადად საქართველოს მიმზიდველობის წარმოჩენას. პროექტის საბოლოო შედეგების განხილვა განსაზღვრულია საერთაშორისო კონფერენციებზე.

პროექტის ორგანიზაციის საწყის ეტაპზევე გამოიკვეთა მყარი არგუმენტები, რომლებიც თანდათანობით ჩამოყალიბდა საერთო სახელმძღვანელო პრინციპებად. ეს პრინციპები პროექტის განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენენ:

ქვეყნის სასიცოცხლო სივრცის მართვა შეუძლებელია ცივილიზებული საზოგადოების შესატყვისი, თანადროული და თანაზომიერი ურბანული განვითარების სტრატეგიული პროგრამების გარეშე. ამგვარი პროგრამები აუცილებელია, როგორც შიდა ფუნქციონირებისთვის, ასევე გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრაციისთვის, მყარი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად და მასშტაბური საინვესტიციო აქტივობის სტიმულირებისთვის.

საქართველოს ქალაქების და დასახლებული პუნქტების მდგრადი განვითარება მომავალში უდიდესწილად უნდა დაეფუძნოს მულტიმედიური ანალიზის შედეგად შემუშავებული და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით გააზრებული, გადაწყვეტების კომპლექსს. თავის მხრივ, ანალოგიური სამუშაოების შესრულება შესაძლებელი გახდება სპეციალურად ამ მიზნით ჩამოყალიბებულ სტრუქტურებში, ადექვატური ურბანული პროგრამების შექმნის გზით.



ბათუმის ზღვისპირა ნაწილის განვითარება.
BATUMI COASTLINE DEVELOPMENT

ურბანული დაგეგმარების განვითარება, მართვის სტრატეგიული პროგრამების დამუშავება და მათი რეალიზაცია შეუქცევადი პროცესია, რომლის თანმდევი პოზიტიური შედეგები სწრაფად იჩენს თავს სასიცოცხლო დარგებში შემდეგი გამოვლინებით: ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა; დასაქმების სფეროს განვითარება და უმუშევრობის შემცირება; განათლებასა და მეცნიერებაში სპეციალისტების მომზადება-გადამზადების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება; საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება, მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების შექმნა.

პროექტის შემდგომი, დეტალური სტადიის ფინანსური და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზატორების მიერ ხორციელდება კონკრეტული სამუშაოები: Stadslab European Urban Design Laboratory შექმნა საპრეზენტაციო მასალის საბოლოო ვერსია და ამჟამად ამზადებს პოლიგრაფიულ გამოცემას.

ქართული მხარის მიერ დასრულდა მოსამზადებელი სამუშაოები კავკასიის ურბანული დიზაინ-ლაბორატორიის (Caucasus URDELA) ჩამოსაყალიბებლად. ამ ორგანიზაციის საქმიანობის პროფილი და მოქმედების არეალი ძირითადად განსაზღვრული იქნება აღნიშნული პროექტის შექმნის და რეალიზაციის მიზნებით. უნიკალური თავისი სტრუქტურით და შესაძლებლობებით, ურბანული ლაბორატორია იმუშავებს საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში ანალოგიური ხასიათის პროგრამების და პროექტების შექმნაზე. განვითარების შემდეგ ეტაპებზე, მიღწეული გამოცდილებიდან გამომდინარე, მოიაზრება საქმიანი აქტივობის გავრცელება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და ახლო აზიის გარკვეულ სეგმენტებზე.

*გიორგი გიორგაძე*
*არქიტექტორი, პროექტის ქართული მხარის კოორდინატორი*



სარეკრეაციო ზონის ახალი ელემენტები
NEW ELEMENTS OF RECREATIONAL ZONE

# Black Sea Coastline and Urban Planning




კულტურულ-საგანმანათლებლო ზონა ჭოროხის შესართავის მიმდებარე ტერიტორიაზე.
CULTURAL-EDUCATIONAL ZONE NEAR CHOROKHI MOUTH AREA

The perspectives of black sea coastline development more and more attracts attention of international experts. Important social and economical programs, that carry developing character, need to be integrated in one major commandment. This is an Urban Developing commandment. To solve the above mentioned problem, it is important to connect political wills, current intellectual resources and international experience. The first attempt to reach desired effect ,in this direction, was conceptual project, executed in Adjara on November 18-27, 2010 under the name: "Black Sea Coastline development 2010 Master Class". Master class was held by Dutch (city of Tilburg) Urbanism and Architectural academy Fontys Stadslab European Urban Design Laboratory. Organizers were: Georgian fund in Netherlands/ Georgian diaspora and Georgian Union of Architects, different Georgian and Dutch companies. The aim of this master class was to work on a conception about Black Sea industrial and tourism strategic development, by help of Poti and Batumi (two main Port towns) transformation in this one urban area of the corridor. International team (Holland, Georgia, Serbia, Romania and Poland) was together working on pre-designing urban program for farther project.



სანაპირო ზოლი ბუნება
COASTLINE NATURE



ჭოროხის შესართავის ლანდშაფტი
CHOROKHI MOUTH LANDSCAPE



მასტერ-კლასის მონაწილეები და ორგანიზატორები ქობულეთში
MASTER CLASS PARTICIPANTS AND ORGANIZERS IN QOBULETI



ფოთის პორტი
PORT OF POTI

Considered themes were maximally neared to the actual issues of this district: new infrastructure (transportation) connecting Poti and Batumi; Considering urban Planning areas of Batumi, Poti and Qobuleti in one context; optimal usage of landscape areas; and so on… The global aim of this project is: Positioning strategic corridors and introducing them to the world, helping this region develop economically, attract investments, encourage tourism sector, help new sectors of thrift and make Georgia more attractive. Final results of the project are supposed to be discussed on the international conference.

Concrete works are being held by the organizers: Stadslab European Urban Design Laboratory has made the final version of the presentation and is currently working on Polygraphy. Georgian side has completed works for establishing Caucasus Urban Design Laboratory ( Caucasus URDELA ). Urban Laboratory will operate in Georgia and generally in Caucasus for making analogous projects. On the next stage of development, considering achieved experience, operating activity is supposed to be spread on some of the South-East European and Asian sectors.

***George Giorgadze***
***Architect***
***Project coordinator from Georgian side***




მასტერ-კლასის საინფორმაციო-სატიტულო გვერდი
MASTER CLASS INFORMATIONAL PAGE



# უცხოელის თვალით დანახული საქართველოს არქიტექტურა





მე მქვია ტომ ვან ვიკი, ვარ 42 წლის. 1998 წელს ცოლად შევირთე თამარ კომახიძე, გვყავს შვილი - 10 წლის თინათინი. დავიბადე და ვცხოვრობ ნიდერლანდებში, ვმუშაობ ამსტერდამის მახლობლად განლაგებულ ფარმაცევტულ კომპანიის კვლევით ლაბორატორიაში. ფოტოგრაფიის გარდა, მიყვარს სპორტი - ფეხბურთი, ველოსპორტი, ციგურაობა, სირბილი.

დაქორწინების შემდეგ, ბევრჯერ ჩამოვსულვარ საქართველოში. ძალიან მიყვარს აქ ყოფნა, ნათესავებთან და მეგობრებთან შეხვედრა, ქვეყნის სხვადასხვა მხარეებში მოგზაურობა. არასდროს არ მავიწყდება ფოტოკამერის წამოღება, რათა ამ ქვეყნის ულამაზესი ხედებიდან ზოგი მაინც აღვბეჭდო ჩემს მეხსიერებაში. თიკო ხშირად მიერთდება ხოლმე თბილისში ხეტიალის დროს და თვითონაც საკმაოდ კარგ სურათებს იღებს.

ჩემი ფოტოებიდან ყველა არაა ტიპიურად ტურისტული - განზრახ ვცდილობ ზოგჯერ სახასიათო ხედებიც გადავიღო. შეიძლება ვიღაცას უცნაურად მოეჩვენოს ფოტოგრაფის სურვილი გადაიღოს მოუვლელი, დაბეჩავებული შენობა - მაგრამ ამ შენობის მთელი სილამაზე მის „გულწრფელობაშია“. ქუჩების ხედები კი ადამიანების ცხოვრებაზე გვიყვება.



# თბილისი. TBILISI 2009-2010

მოგეხსენებათ საქართველოს ყველა შესაძლებლობა გააჩნია იმისათვის, რომ ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და სტაბილურ მხარედ იქცეს. უკანასკნელ დროს საქართველოში სწრაფად ვითარდება ტურიზმის ინდუსტრია. თუმცა, ამ სფეროში ცალკეული წარმატებების მიუხედავად, ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციის და ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზებაა. ამის დასტურად წარმოგიდგენთ ახალ რუბრიკას - "უცხოელის თვალით დანახული საქართველოს არქიტექტურა", რაც ახლო მომავალში აქტუალურ პროექტს - საინტერესო გამოცემას დაედება საფუძვლად.







My name is Tom van Wijk, 42 years old. I 'm married with Tamara Komakhidze since 1998 and have a 10 year old daughter Tinatin. I'm born and living in the Netherlands, working as analytical scientist for a pharmaceutical company near Amsterdam. Next to photography, I like sports such as soccer, cycling, speed skating and running.

Since my marriage I've been visiting Georgia many times. I really enjoy being here; meeting family, friends and traveling thought the country. When I travel, I never go without my camera, trying to catch one of the many beautiful sights. Tico often joins me walking though the city of Tbilisi and she makes very nice pictures herself.

Not all pictures I've taken are typical touristic views as I also try to get some of the characteristic sights. People might not always understand that a building in a poor state looks beautiful because it's really authentic. The lifestyle of the people is reflected in the views on the streets.

© TOM VAN WIJK









© TOM VAN WIJK

**თბილისი.**
**TBILISI**
**2009-2010**



რუბრიკაში წარმოდგენილი იქნება იქნება უცხოელი სტუმრების მიერ, ამიერკავკასიაში მოგზაურობისას, ფოტოფირზე ასახული არქიტექტურული ძეგლები თუ თანამედროვე არქიტექტურა. იგი თავიდანვე გამორჩეული იქნება ინფორმაციის მოცულობით. დიდი სურვილი გვაქვს განსაკუთრებულად საინტერესოდ და არაორდინალურად წარმოვადგინოთ საქართველოს, სხვადასხვა კუთხეები, მათთვის დამახასიათებელი უძველესი არქიტექტურით და კულტურით. ყოველივეს მნიშვნელოვანი საინფორმაციო-ვიზუალური დატვირთვა ექნება და შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად წარმოაჩენს საქართველოს ძველ და თანამედროვე არქიტექტურას თუ შემოქმედთა მაღალ პოტენციალს.

ამჯერად გთავაზობთ ბატონ ტომ ვან ვიკის მიერ ფოტოფირზე დაფიქსირებულ თბილისის და ბათუმის არქიტექტურულ ფრაგმენტებს.









## ბათუმი. BATUMI 2009-2010

# Georgian Architecture Seen by the Eyes of a Foreigner

Georgia has every potential to become a stable, well-developed country. In the recent years local tourism industry has been growing on a rapid pace, though in spite of certain progress there still are lots and lots of things to do.

We believe that promotion of our country and increasing the number of visitors requires cultural and educational activity on our part. To contribute to this, our magazine presents you a new column "Georgian Architecture Seen by the Eyes of a Foreigner" – first step of our new project, which implies preparing of an interesting publication in the future.

This new column will feature photos of local historical and modern architecture as seen by foreigners touring Georgia. Our wish is to present different parts of our country with their architecture and culture from a fresh angle, and to tell you more about people, taking these photos.

This time, we publish photos of Tbilisi and Batumi, taken by Tom van Wijk.









ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
TBILISI
2009-2010









© TOM VAN WIJK









# ვორქშოპი იტალიაში

## HERBOVITAL 2

2010 წელს საერთაშორისო კონკურსის "არქიტექტურული პრემია 2010" ლაურეატების, საუკეთესო ნომინანტების და დღეს მოქმედი არქიტექტორებისგან დაკომპლექტებული 12 კაციანი ჯგუფი, ტრადიციისამებრ "არქიტექტორთა კლუბის" პარტნიორი კომპანიის - იტალიური კომპანიის "ჰერბოვიტალ 2-ს წარმომადგენლობა თბილისში" - მიერ მიწვეული იქნა იტალიაში სპეციალურ ვორკშოპში მონაწილეობის მისაღებად.























ვორკშოპი იტალიაში 2011 წლის 10 იანვრიდან 17 იანვრამდე მიმდინარეობდა. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ კომპანიის - "ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა თბილისში" - მიერ წელს უკვე მესამედ შედგა მთლიანად ქართველი პროფესიონალებისგან დაკომპლექტებული ჯგუფის მიწვევა სპეციალურ პროგრამაში, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის - "ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა თბილისში" - ეგიდით გაერთიანებული საქვეყნოდ ცნობილი, იტალიური ბრენდების მრავალფეროვანი პროდუქციის გაცნობას, შესწავლას და მის პრაქტიკაში გამოყენებას.

ქართველი არქიტექტორებით დაკომპლექტებული ჯგუფი, 10 იანვარს უკვე ვენეციაში იმყოფებოდა, სადაც მათ დახვდნენ კომპანიის - "ჰერბოვიტალ 2-ის წარმომადგენლობა თბილისში" - წარმომადგენლები, ორი მიკროავტობუსით და აქედან დაიწყო საინტერესო, ვოიაჟი ჩრდილოეთ იტალიში. არქიტექტორებმა მოინახულეს და საფუძვლიანად შეისწავლეს იტალიური კომპანიების "ჯაკუზი"-ს, "არლექსის"-ს, "დუკას", "ჯესის" ულამაზესი ქარხნები. საშუალება მიეცათ სრულად ენახათ ამ კომპანიების პროდუქციის დამზადება-სრულყოფის პროცესები და შოურუმები და აქ წარმოდგენილი უზადო, უნატიფესი დიზაინით შესრულებული ნაკეთობები და აქსესუარები. ჰქონდათ შეხვედრები და პროფესიული საუბრები მათ იტალიურ წარმომადგენლობებთან. პარალელურად, თავისუფალ საათებში, მასპინძლების ინიციატივით მოინახულეს ვენეცია, მილანი, ლაგო მაჯორე (მაჯორეს ტბა), ლაგო დი ორტა (ორტას ტბა) და უამრავი პატარა იტალიური ქალაქები თუ სოფლები.

მილანში ყოფნისას, ვორკშოპის პროგრამის მიხედვით, არქიტექტორებმა დაათვალიერეს კომპანია "სიჩისის" და "დევონ დევონის" განახლებული ფეშენ შოურუმები, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.















Partner of Architects' Club – representative office of Italian Company "Herbovital 2" in Tbilisi –invited a 12-man group of Architectural Award 2010 laureates and nomination winners to visit Italy and participate in a special workshop.

The workshop took place on January 10-17 2011. It is noteworthy that "Herbovital 2" has been organizing workshops for the Georgians for three years already. This action, organized with the help of Tbilisi-based representation of "Herbovital 2" aims at distributing information on diverse Italian products, insights on their advantages and practical application, among Georgian specialists.On January

# Workshop in Italy









# HERBOVITAL 2

10, immediately upon arrival to Venice, Georgian architects were met by "Herbovital 2" representatives, who took them to a breathtaking journey across Northern Italy. The architects toured factories of Italian companies "Jacuzzi", "Arlex", "Duca" and "Jessi", studied production processes, viewed showrooms with flawlessly designed products and accessories, met with company representatives. During the time remaining from meetings and industrial tours, the hosts treated visiting architects to little outings around Venice, Milan, Lago Maggiore, Lago di Orta and many other Italian towns and villages.

During their stay in Milan, the architects visited updated fashion showrooms of "Siccis" and "Devon Devon", which left an indelible impression on them.

















# გამოფენა უნივერსში

5 ოქტომბერს გალერეა “უნივერსში” გაიხსნა თენგიზ მახარაშვილის ნამუშევრების გამოფენა. სამ დარბაზში წარმოდგენილი იყო ფერწერა, მინიატურა, ფერადი გრაფიკა, პოპ-არტი და ავტორის მიერ განხორციელებული არქიტექტურული პროექტები, სულ 110 ნამუშევარი.

პირველი დარბაზი მთლიანად დათმობილი აქვს ბოლო 4-5 თვეში ზეთში შესრულებულ ფერწერულ ტილოებს, რომლებიც გამომსახველობითი მანერით და ჟანრობრივად განსხვავდება მეორე დარბაზში წარმოდგენილი მინიატურული ფერწერისგან. მესამე დარბაზში ექსპონირებულია ფერადი გრაფიკა, პოპ-არტში შესრულებული სერია „პური ჩვენი არსობისა“ და ბოლო წლებში განხორციელებული არქიტექტურული ნაგებობები.

თენგიზ მახარაშვილს საქართველოს ფარგლებს გარეთ მოწყობილი აქვს მრავალი პერსონალური გამოფენა, მათ შორის პარიზში, რომში, ვენაში, ბერლინში, მოსკოვში, ლუქსემბურგში, სააებრუკენში, კაიზერსლაუტერნში და სხვა ქალაქებში. უფრო დიდია იმ ქვეყნების სია (40 ქვეყანა) სადაც კერძო თუ სხვა კოლექციებში ინახება მისი ნახატები.

ამ ცოტა ხნის წინათ მან მიიღო მოწვევა აშშ-დან, სადაც გაზაფხულზე იგეგმება მისი ნამუშევრების მორიგი გამოფენა.













# Exhibition in Gallery Universe



On October 5 2010 exhibition of Tengiz Makharashvili's works was launched in Gallery Universe. Three exhibition halls contained Makharashvili's oil paintings, miniatures, color graphics, pop art series „Our Daily Bread" and architectural projects he designed during the recent years – 110 works in all.

Tengiz Makharashvili has arranged personal exhibitions in numerous cities, including Paris, Vienna, Berlin, Moscow, Luxembourg, Saarbrucken, Kaiserslautern, etc. His works are stored in private collections all over the world.

Not long ago, Tengiz Makharashvili was invited to USA with the goal of arranging another personal exhibition in spring 2011.











# გურია

# GURIA







## არაჩვეულებრივი გამოფენა

უკვე ოთხი წელია, რაც მხატვარი მიშა იაშვილი და, საერთოდ, მისი თაობა - 80-იანელები - ერთი კარგი საქმის ინიციატორები არიან - თავიანთ ნამუშევრებს ერთად აგროვებენ, მიმოაქვთ და გამოფენენ საქართველოს პერიფერიებში. მათ დაიწყეს თელავით - ქეთევან იაშვილის სახელობის მუზეუმით; შემდეგ, ავიდნენ მესტიაში (მესტიის მუზეუმში); შემდეგ - რაჭაში (ამბროლაურში, ხელოვნების მუზეუმში). ჩასულები იყვნენ სამეგრელოში და იქაურ სახვითი ხელოვნების მოყვარულთ თავიანთი ნამუშევრები გააცნეს.

ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია კარგად იცნობს გასული საუკუნის 80-იან წლებში წარმოჩენილ საინტერესო მხატვრებს, მაგალითად, თავად, პროექტის ინიციატორი, მიშა იაშვილი - ცნობილი იაშვილების დიდი გვარის წარმომადგენელი, პაოლო იაშვილის ძმისშვილი - ნიჭიერი ფერმწერია; ცნობილი მხატვრები - გია ბუღაძე, გია გუგუშვილი, ვახტანგ გაბუნია, ჯემალ კუხალაშვილი, ლადო ტატიშვილი, გოიკა გეგეჭკორი, ქეთი მატაბელი, ნიკო ხერკელაძე, ოთარ ვეფხვაძე, შალვა მატუაშვილი, ლევან ჭოლოშვილი და სხვები - სულ 50 მხატვარი.





# რაჭა







ამ ღონისძიების მიზანი იყო სახვითი ხელოვნების მოყვარულნი გაცნობოდნენ ისეთ ნამუშევრებს, რომლებიც არცთუ ისე ცნობილია ქართველი საზოგადოებისთვის. ამას კი თავისი მიზეზი აქვს. 80-იანი წლების ბოლოს მიშა იაშვილის თაობა უცხოეთში უფრო იყო გასული და იქაური დამთვალიერებლებისთვის ცნობილი, ვიდრე ჩვენთან. მხატვრები, თითქოს მონატრებულიც იყვნენ იმას, რომ მშობელ ადამიანებსაც ენახათ მათი შემოქმედება. როდესაც მხატვარმა, ეს იდეა მეგობრებს გაუზიარა, მისდა გასაკვირად ისინი დათანხმდნენ და, როგორც უკვე ითქვა, უკვე მეხუთე გამოფენა მოგზაურობს საქართველოს ამერ-იმერში.

პერიფერიების მუზეუმების უსახსრობის გამო, გამოფენის შემდეგ, ჩვენი მხატვრები უტოვებენ მათ რამდენიმე ნამუშევარს. იქ, სადაც ეს გამოფენები ტარდება, გარკვეულ კვალს ტოვებს. მაგალითად, მესტიის მუზეუმში - მეოცე საუკუნის განყოფილება გაიხსნა. იგივე მოხდა თელავში. 11 ნამუშევარი ამბროლაურში დარჩა და იმედია, რაჭაშიც იგივე მოხდება.

ახლახან ლანჩხუთში - 7 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე, ვალოდია წულაძის სახელობის თეატრისა და კინოს მუზეუმი მასპინძლობდა ქართველ 80-იანელ მხატვართა მოძრავ გამოფენას, რომელსაც ორი კვირის განმავლობაში არ დაჰკლებია მნახველი, განსაკუთრებით იქაური სკოლების მოსწავლეები, რაც გამოფენის ინიციატორთა მთავარი მიზანია.

ასე თანდათან, მიშა იაშვილს, სხვა ცნობილი მხატვრების მხარდაჭერით, განზრახული აქვს, 80-იანელთა გამოფენა გააცნოს იმერეთს, ხევსურეთს, ჩავიდნენ ყაზბეგში, ჯავახეთში. ის კი არა, თურმე ლეკებამდე მისულა მათი ღონისძიების ამბავი და, ალბათ, მახაჩყალასაც ესტუმრებიან.




# RACHA

















# Unusual Exhibition

სვანეთი

SVANETI

In the course of the last four years, painter Misha Iashvili and several other artists of his generation – the 1980'ers – have been maintaining an unusual initiative. They gather each other's works together and arrange tourist exhibitions countrywide. Their first destination was Ketevan Iashvili Museum in Telavi, which was followed by Mestia Museum, then Ambrolauri Art Museum in Racha and a trip to Samegrelo.

Georgian intelligentsia is well familiar with the artists, who came to the fore in the 1980'ies: Misha Iashvili, author of this initiative, nephew of poet Paolo Iashvili, is a successful and talented painter; apart from him, the ranks of artists, participating in the project, include such people as Gia Bugadze, Gia Gugushvili, Vakhtang Gabunia, Jemal Kukhalashvili, Lado Tatishvili, Goika Gegechkori, Keti Matabeli, Niko Kherkeladze, Otar Vephkhvadze, Shalva Matuashvili, Levan Chogoshvili and others – 50 artists in total.

Misha Iashvili's initiative aims at promoting works of art, which are unknown among the Georgian art amateurs due to various reasons, but mainly because many artists of Misha Iashvili's generation migrated abroad and foreign public knows them much better than their own compatriots. It is not surprising, therefore, that this initiative met enthusiastic support and Misha Iashvili together with his friends managed to arrange his tourist exhibition for the fifth time already.

To acknowledge support of regional museums, joining the initiative in spite of their frugal budget, and promote modern art, the artists usually leave several paintings in each exhibition venue. As a result, some of participating museums (e.g. Mestia and Telavi Museums) decided to maintain modern art expositions on a permanent basis.

On November 7-20 2010, tourist exhibition of Georgian artists of the 1980'ies was hosted by Lanchkhuti-based Vladimer Tsuladze Theater and Cinema Museum. During the two-week period, the exhibition attracted a great deal of visitors; especially popular it was among school pupils – the group of population specially targeted by exhibition organizers.

For the future, Misha Iashvili hopes to send his tourist exhibition to Imereti, Khevsureti, Kazbegi and Javakheti. There are certain opportunities of upgrading to international level, to be more specific, interest in hosting the exhibition was expressed by Dagestan.









RADIO SAKARTVELO LTD

SUCCESS IS GUARANTEED






იტალიური სამზარეულოები

GruppoDOIMO SIRTEK

Style - design
Tel: +995 57 722 744
+995 32 375 297
E-mail: styledesignnew@gmail.com
www.style-magazine.com.ge